645
1977/4

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

დეკემბერი
№ 12 1977 წ.

ВСЕХ СТРАН СОЕДИНЯЙТЕСЬ! ПРОЛЕТАРИИ
СССР
ЗНАК ПОЧЕТА



80 წელი შეუსრულდა დიდ ქართველ ბოტანიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკო კეცხოველს.

ბატონი ნიკო რვა წელი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. ეს წლები დაუვიწყარია იმ სტუდენტი ახალგაზრდობისათვის, ვისაც მისი მზრუნველობა შეხებია მთელი თაობები დღეს მოწიწებით ხრიან თავს დიდი მეცნიერის წინაშე

ამჟამად ნიკო კეცხოველი ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი გახლავთ მის კალამს ეკუთვნის შვიდასამდე მეცნიერული შრომა, პუბლიცისტური სტატია საბავშვო მოთხრობა მათ შორის აღსანიშნავია: „საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები" „საქართველოს მცენარეულობა" „კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში" „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია".. „მეცხრე მთა გადავიარე" „ცხრათვალა მზის ქვეშ" „მორბის არაგვი არაგვიანი" „ხუთი მდინარის სათავეში" „კაუჩუკის მაძიებელნი" და მრავალი სხვა.

ნიკო კეცხოველი არის საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების, უკრაინის ბოტანიკური საზოგადოებისა და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი, ამავე დროს საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდენტი.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია და მრავალრიცხოვანი მკითხველი გულითადად ულოცავენ ჭეშმარიტად დიდ ქართველ მამულიშვილს ამ თარიღს და უსურვებენ ჯანმრთელობასა და ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მზისადარ კილასონია

15803

# ნარინჯის ველი

### გვესაუბრება გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი გენადი ქირია.

1948 წელს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წარდგინებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დამამტკიცა.

ჩვენი მეურნეობა მაშინ ძალზე ჩამორჩენილი იყო. პარტიის რაიკომის, საოლქო თუ ცენტრალური კომიტეტების ბიუროს სხდომებზე ხშირად განიხილებოდა მისი ჩამორჩენის მიზეზები. ამიტომ, გასაკვირიც არ არის ის მღელვარება თუ შიში, რაც მე განვიცადე პირველ დღეებში. ნაკლოვანებათა დასაძლევად ხომ დიდი გამოცდილება, საქმის ღრმა ცოდნა იყო საჭირო.

შიში უსაფუძვლო გამოდგა. მეურნეობის მუშები მხარში ამომიდგნენ, და თუმცა სიძნელე ბევრი იყო, საქმე თანდათან აეწყო. გასაკეთებელი კი მართლაც რომ ბევრი გვქონდა. ერთ ოთახში ორი, ზოგჯერ კი სამი ოჯახი ცხოვრობდა, არ გაგვაჩნდა ელემენტარული სამუშაო თუ საყოფაცხოვრებო პირობები. ყოველივე ამას რომ ვიგონებ, აღფრთოვანება მეუფლება. სიძნელეებმა კიდევ უფრო შეამჭიდროვა ჩვენი მუშები, კიდევ უფრო განუმტკიცა უკეთესი მომავლის რწმენა, ხოლო, სადაც რწმენა ურყევია, კარგად მოგეხსენებათ, იქ მთებსაც დაძრავენ ადამიანები.

და მართლაც, 29 წლის განმავლობაში ისეთ წარმატებებს მივაღწიეთ, ისე შევუცვალეთ მეურნეობას სახე და მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო დონეც იმ სიმაღლემდე ავიყვანეთ, რომ ყოველივე ზემოთქმული ძნელი დასაჯერებელიც არის.

მთელი ამ ხნის მანძილზე გვერდში მედგნენ და გამარჯვებების სიხარულსა თუ ცალკეული მარცხის სინანულს ჩემთან ერთად იზიარებდნენ მაშინ ახალგაზრდა, ამჟამად კი მეურნეობის ვეტერანი მუშები სოციალისტური შრომის გმირი აგრაფინა შაბუნინა, პაშა უსტიანი, ნადეჟდა ჩაპლენკო, მარიამ სტეფანოვა და სხვები.



ანა გრიგორენკო



ანა ლუკინა

ბედნიერია ადამიანი, როცა [illegible] შრომის ნაყოფს, კეთილ ნაყოფს იმკის. ამ მხრივ ჩვენი კოლექტივის ვეტერანებთან ერთად მეც ბედნიერად მიმაჩნია თავი.

ამიტომ არასოდეს მინანია, ეს ძნელი გზა რომ ავირჩიე და არც შემიჩივლია ვინმესთვის სიძნელეების შესახებ. პირიქით, ცხოვრების გზის ხელმეორედ არჩევის შესაძლებლობა რომ მომეცეს, ისევ ამ გზას ავირჩევდი...

დღეს მეურნეობაში ორასამდე კომუნისტური შრომის დამკვრელი ქალია. ისინი ამრავლებენ იმ სახელოვან, მდიდარ შრომითს ტრადიციებს, აქ რომ დამკვიდრდა წლების მანძილზე.

ორასი კომუნისტური შრომის დამკვრელი მეციტრუსე ქალი! ეს დიდი ძალაა და სწორედ ამიტომაც ეძახიან მეურნეობაში მათ „დამკვრელებს დამკვრელთა შორის“...

კლავდია პანჩენკო, ეკატერინე სოფონოვა, ლარისა პანკოვა, კომკავშირელები მზინარი კილასონია და რუსუდან შუბლაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული მეციტრუსე, კომუნისტი ანტონინა სტრიუკოვსკაია, ნადეჟდა ჩიკარი და სხვები დღესაც თავდადებული შრომით განამტკიცებენ მოპოვებულ წარმატებებს.

შარშან მათ სამშობლოს მისცეს 600 ტონის ნაცვლად 967,7 ტონა მანდარინი, 300 ათასი ცალის ნაცვლად — 690,1 ათასი ცალი ლიმონი, 8 ტონის ნაცვლად — 21,1 ტონა ფორთოხალი.

მანდარინის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობამ 94,9 ცენტნერი შეადგინა, ლიმონისამ — 130,1 ცენტნერი, ფორთოხლისამ — 65 ცენტნერი. ეს მაჩვენებლები ერთიორად სჭარბობს მთლიანად ზონის იმავე მაჩვენებლებს და საკმაოდ დიდია ჩვენი სუბტროპიკული ზონისათვის.

ბევრი რამ გაკეთდა მეურნეობის მუშების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. თითოეული მუშის საშუალო-თვიური გამომუშავება აქ 200 მანეთს შეადგენს. ისინი არ იხდიან ბინის, ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადებს, ყოველ მუშას შეუძლია წელიწადში 24 დღე უფასოდ დაისვენოს საუკეთესო პროფილაქტორიუმში. გვაქვს თანამედროვე კულტურის სახლი, საბავშვო ბაგა-ბაღი...

განსხვავებული უპირატესობა და შეღავათები ეძლევათ კომუნისტური შრომის დამკვრელებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

მეურნეობა ღირსეულად ამართლებს კომუნისტური შრომის საწარმოს სახელს.

საუბარი ჩაიწერა
რობერტ სიხუაშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასაზღვრო სოფელში

წინა დღით ქარი ქროდა და წვიმდა, მაგრამ ბათუმში მაინც თბილოდა. ხელვაჩაურს რომ მივუახლოვდით, ქარი გაძლიერდა, ხოლო როცა მახოს ხიდს გავცდით, თითქოს გული იჯერაო — ნამტირალევი ბავშვივით ჩაწყნარდა.

წინ გრუზათმიანი კაცი შემოგვხვდა.

— ეს შუქრი თურმანიძეა, მწყემსი, ფერმამდე მიგიყვანთ! — თქვა ჩემმა თანამგზავრმა და მანქანა მიაბრუნა, საქმეზე მიეჩქარებოდა.

თვალის ერთი მოვლება კი მოვასწარი და ფერმაც გამოჩნდა, მახო ლამაზი სოფელია, სუფთა და წყნარი. მხატვრის ფუნჯით დახატული გეგონებათ ირგვლივ ყველაფერი.

ფერმის ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. ერთნი საკვებს სასილოსე და სასენაჟე ორმოებში ყრიდნენ, მეორენი აგრეგატებს უტრიალებდნენ, ზოგიც მწვანე მასას ეზიდებოდა.

ფერმასთან მსუბუქი მანქანა დამუხრუჭდა. მანქანიდან მშვენიერი ახალგაზრდა ქალი გადმოვიდა. იგი ვეტექიმი მანანა მალულარია აღმოჩნდა. ახალბედა ექიმი ხუთ სოფელს ემსახურება. ახლა მას მორიგი შემოვლა ჰქონდა, მოგვიახლოვდა.

— სადაც არის ვენერაც გამოჩნდება, საკარმიდამო ნაკვეთებიდან მოტანილ საკვებს იბარებს. თითოეულ ოჯახს 700 კგ სენაჟი უნდა დაემზადებინა, მაგრამ გაცილებით მეტს გვაბარებენ. ამ საქმეს სათავეში საკვებმომპოვებლები ხასან დიასამიძე და ნოდარ ნაკაშიძე უდგანან. ისინი წელიწადში 600 ტონაზე მეტ მწვანე მასას აწვდიან ფერმას. შემოდგომაზე ამას ჩალაც ემატება. მდინარე ჭოროხის სანაპირო რომ გავამაგრეთ, 15 ჰექტარზე მეტი მიწის სავარგული შემოვიმატეთ. აქ ფიგა-შვრიას ვთესავთ, ნაწვერალზე კი — სასილოსე სიმინდს. ციტრუსების ბაღებში, სადაც საშუალებაა, სოია ითესება. ისე რომ, საკმარისად გვაქვს შვრია, კოინდარი და სოია — ნედლი ბალახის მარაგი, გაზაფხულის დამდეგიდან შემოდგომის მიწურულამდე რომ მიგვყვება. საკვების დამზადებაში ყველა ჩაბმულია — დიდი და პატარა.

საკარმიდამო ნაკვეთებიდან მოაქვთ და მოაქვთ ბალახი. ისმის ხმამაღალი ლაპარაკი, მხიარული შეძახილები.

რაიონში ყველაზე მოწინავე ეს ფერმააო, — დაუმატა მანანამ.

— ჩვიდმეტი წელია ფერმას ვენერა კირთაძე ხელმძღვანელობს და პირველობას არავის უთმობს. დაღლა რაა, არ იცის ვენერამ, სულ აქ ტრიალებს, მარტო სადილად თუ მოიცლის შინ წასასვლელად. დილით მოსვლას ვერავინ ასწრებს. აგერ ისიც!

ჩვენთან კოხტადჩაცმული, საშუალო ტანის მანდილოსანი მოვიდა. მზემოკიდებულ სახეზე სულაც არ აჩნდა დაღლილობის კვალი.

მანანა დაგვემშვიდობა, ჩვენ კი საუბარს შევყევით.

— თუ საკვები არის, რძეც იქნება, ეს კარგად აქვთ შეგნებული ჩვენს მეცხოველეებს...

ისევ მოიტანეს თივა, დაუძახეს ვენერას.

— რომ არ მივხედო, არ იქნება, — მობოდიშებასავით დაიწყო მან.

მის მოსვლამდის ვათვალიერებ სტენდებს, ცხრილებს, საველე ფურცლებს, ჩანაწერებს, ჯილდოებს, რაც ფერმის წარმატების საწინდარია.

ვენერა კვლავ ბრუნდება და მიხსნის, რომ ფერმა ველის წითელი ჯიშის ახალგაზრდა პროდუქტული პირუტყვით არის დაკომპლექტებული.

— მცირეპროდუქტული, ბერწი და ჯანდაგი ფურები ადგილზე გამოზრდილი უშობლებით იცვლება, რომ შემცირდეს წარმოების ერთეულზე დანახარჯი. თითოეული ძროხიდან 3.500 კგ რძე უნდა მიგვეღო. ზოგი ფური კი 4.000 კგ რძეს იწველის. მეცხრე ხუთწლედის დავალება ოთხ წელიწადში შევასრულეთ. ნაცვლად 596 ტონისა 714 ტონა რძე ჩამოვწველეთ, საშუალო წველადობა ყოველწლიურად 300-400 კილოგრამით იზრდება. ახლა ჩვენი ამოცანაა მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ. მეათე ხუთწლედის პირველი წლიდანვე ყველა სახის გეგმა-ვალდებულება დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ. 469 ტონის ნაცვლად 603 ტონა რძე ჩავაბარეთ. კიევის ოლქის მეცხოველეთა თაოსნობას პირველად ჩვენ გამოვეხმაურეთ — ჩინებულად გამოვაზამთრეთ პირუტყვი, წველადობაც გავზარდეთ. გეგმით 204 ხბო უნდა მიგვეღო, ჩვენ კი 218 სული მივიღეთ. ნამატს 20 დღის შემდეგ ვაბარებთ ხოლმე გონიოს ცხოველმრეწვს, სადაც სანაშენე და მეხორცული საქონელი იზრდება.

ვენერა შენობაში შეგვიძღვა.

— ძროხის კვების დროა... საკვებს წინასწარ შევამზადებთ ხოლმე: თივას ვჭრით, ვაქუცმაცებთ, თბილი წყლით ვორთქლავთ აი იმ დანადგარზე. მტკიცედ ვიცავთ სადღეღამისო კვების რეჟიმს. ექვს საათზე ვწველით, შვიდზე ვაჭმევთ, რვა საათზე ვასუფთავებთ ძროხებს, 10-დან 14 საათამდე მინდორში გვყავს, 14 საათზე მაღალპროდუქტულ ფურებს ვწველით. წველა ერთ საათს გრძელდება, ისე, როგორც ყველა დანარჩენი პროცედურა. 15 საათზე თივას და სილოსს ვუყრით, 18 საათზე ვწველით. ერთი საათის შემდეგ კომბინირებულ საკვებს ვაჭმევთ — ჯერ ქატოს, შემდეგ — თივას, 21 საათიდან დილამდის შესვენებაა. აქ კი მწყემსების მეცადინეობაა თავიდათავი: ესენი არიან, ღამე რომ ყარაულობენ და დღისით საძოვარზე ერეკებიან ნახირს, მერე კი საკვების შემზადებაში ეხმარებიან მწველავებს. მეცხოველეები ადგილზე არიან, უმჯობესია თავად ნახოთ ისინი.

ფერმაში სანიმუშო სისუფთავეა. საკვების დარიგება, დარწყულება და ნაკელის გატანა მექანიზებულად ხდება.

მოვლილ ძროხებს სათითაოდ უახლოვდებიან მწველავები: ხევა ლორთქიფანიძე, ემინე ცინცაძე, მერი და ნათელა ნაკაშიძეები. კასრებს ზემოდან ნეილონის ორმაგი ქსოვილი აქვს გადაკრული.

— ასე წველა ჩვენ შემოვიღეთ: დოლბანდი მალე ცვდება და ჭუჭყიანდება. მის ზედაპირზე ფენა-ფენად ლაგდება მექანიკური ნაწილაკები. ეს კი რძის ხარისხს აუარესებს. ამიტომ ვხმარობთ ჩვეულებრივ საფარდე ქსოვილს, რომელიც რძეს სწრაფად ატარებს, გამძლეა და კარგადაც ირეცხება.

სწრაფად ივსება ჭურჭელი, ქალები მას დიდ კასრებში ცლიან, რომლებსაც ასეთივე საწურებით აქვს თავი მოკრული.

— რძეს მე ვიბარებ, აღრიცხვა და ხარისხის განსაზღვრა ჩემი საქმეა. წველის პროცესში რძე ცივდება. ამიტომ მოწველისთანავე მიმღებ პუნქტში მიგვაქვს, რომ შევინარჩუნოთ პროდუქციის მაღალი ხარისხი.

ვენერა ზეპირად გვეუბნება, რომელი ძროხა რამდენს იწველის.

— ფერმაში ყოველი თვის 25 რიცხვი სანიტარული დღეა. მწველავებს ერთმანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰყავთ გამოწვეული: მერი ხევას ეჯიბრება, ემინემ ნათელა გამოიწვია და დაამარცხა კიდეც. ხევა მერიმ დაჯაბნა, — თქვა ვენერამ და ქალებს სიყვარულით გადახედა. — ეს მანდილოსნები ფერმის ახლოს ცხოვრობენ, ხუთი და ექვსი შვილის დედები არიან, დებივით შეზრდიან ერთმანეთს. — მერე თვალებით ნაზი აგებულების, საშუალო სიმაღლის ქალზე მანიშნა:

— ქების ღირსია ემინეს შრომა. მას 13 ძროხა ჰყავს გაპიროვნებული. თითოეულზე 3.500 კილოგრამზე მეტი რძე ჩამოწველა, წლის ბოლომდის კიდევ გაზრდის წველადობას. თერთმეტის ნაცვლად თორმეტი ხბო მიიღო.

მერი ლამაზი შავგვრემანი ქალია, სახეზე მხიარული ღიმილი დასთამაშებს, წყნარია და სიტყვაძუნწი, ძლივს ალაპარაკდა:

— თავდაუზოგავად ვშრომობდით, საკვები უხვად გვქონდა და პირუტყვი კარგად გამოვაზამთრეთ, წველადობა გავზარდეთ. ასევე ავუბით მხარი ქუთაისელ და პირველი მაისის რაიონების მშრომელთა ინიციატივას და ყოველი დღე დამკვრელურად გამოვაცხადეთ, — შემდეგ მორცხვად დასძინა: — მსურს სამათასოვანთა კლუბის „თეთრი ნაკადულის“ წევრობის უფლება მოვიპოვო.

მახოელთათვის თითოეული დღე ახალ-ახალი წარმატებების მახარობელია. ეს ფერმა ყოველ წელიწადს იღებს მედლებს, ქების სიგელებს, ფულად საჩუქრებს, ძვირფას ნივთებს. 1973 წელს ფერმის გამგეს შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა, 1975 წელს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის სოფელ მახოს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მეცხოველეობის ფერმამ 200 მანეთის მუსიკალური ინსტრუმენტი და ტელევიზორი მიიღო საჩუქრად. ემინე ცინცაძე კი ძვირფასი ნოხით და 224 მანეთით დააჯილდოვეს.

1977 წლის პირველ კვარტალში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციისათვის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში ხელვაჩაურის რაიონის მშრომელები პირველ ადგილზე გამოვიდნენ (VII ზონაში).

ასევე გადაჭარბებით შესრულდა ხორცის ჩაბარების გეგმა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკარმიდამო მეცხოველეობას. იბრძვიან 140.000 ტონა ხორცისათვის. ყველა საქმის მოთავე მახოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლევან მჭედლიშვილი გახლავთ. მან აპრილში სახელმწიფოს 250 კგ ხორცი მიჰყიდა. ლევანს კოლმეურნეებმაც მიბაძეს.

ჩვენი ვენერა! ასე ეძახიან სოფელში ვენერა კირთაძეს. ხალხის დიდი სიყვარული გამოსჭვივის ამ უბრალო მიმართვაში. ადვილი არ არის ყველას გულთან ახლოს მისვლა და იქ დამკვიდრება. ვენერამ ეს თავისი შრომით და ადამიანობით შეძლო.

მარიამ კვაჭაძე

# ზურმუხტოვან პლანტაციებში

ვისაც აჭარაში უცხოვრია ან გზად გაუვლია, არ შეიძლება ოდესმე დაავიწყდეს ეს საოცრად მომხიბლავი მხარე.

კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე აჭარლებს ძალზე უჭირდათ ცხოვრება. ახლა კი ედემის ბაღად ქცეულა მათი ეზო-კარმიდამო ლამაზადნაგები ოდა-სახლებით.

დღეს ხელვაჩაური აჭარის ერთ-ერთი უმდიდრესი და უმშვენიერესი რაიონია. იგი ამაყობს თავისი შრომისმოყვარე მეჩაიეთა მრავალრიცხოვანი არმიით, ხუთწლედების გმირებით, მათი სარეკორდო წარმატებებით. ეს მიღწევები ღირსეულად არის შეფასებული პარტიისა და მთავრობის მიერ. მეჩაიეები არჩეული არიან უმაღლესი და რაიონული საბჭოების დეპუტატებად, დაჯილდოებულნი არიან ორდენებით, მედლებით, საპატიო დიპლომებით, მინიჭებული აქვთ შრომის დამკვრელის წოდება.

ნათქვამია, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, და მართლაც, ხელვაჩაურის მოწინავე ახალგაზრდებს შორის სამაგალითოა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატი დარეჯან ბაჯელიძე.

დარეჯანმა 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოს საშუალო სკოლა და ჩაის პლანტაციას მიაშურა. სანიმუშოდ უვლიდა ბუჩქებს, რომ უხვი მოსავალი მიეღო. შრომამ ნაყოფი გამოიღო. ახალგაზრდა გოგონამ 1971 წელს ოთხი ტონა მწვანე ოქრო მოკრიფა. მალე ის IV ბრიგადის ხელმძღვანელად დააწინაურეს: ერთ დროს ჩამორჩენილი ეს ბრიგადა დარეჯანმა მოწინავე გახადა. მან გარს შემოიკრიბა კოლექტივი და ერთიანი ძალით ყოველწლიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოდიოდნენ. ამ წარმატებების მიღწევას დარეჯანი მოწინავე მეჩაიეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ეთერ შალაყმაძეს და კოლმეურნეებს ფ. დავითაძეს, თ. თავართქილაძეს, ე. ალიქაძეს და სხვებს უმადლის. 1974 წელს გეგმით გათვალისწინებული 72 ტონის ნაცვლად მეოთხებრიგადელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 89.400 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. ბრიგადის თითოეული წევრი დღენიადაგ ზრუნავდა ქართული ჩაის ღირსების ამაღლებისათვის.

არიან ადამიანები, რომელთა გვერდით ცხოვრება და შრომა სულს გიფაქიზებს, გახალისებს, ენერგიას გმატებს, გაფიქრებინებს საუკეთესოთა შორის შენც საუკეთესო გერქვას. ასეთია დარეჯან ბაჯელიძე.

გამრჯე გოგონამ შეიგნო, რომ, გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, საჭიროა მეცნიერული ცოდნის ღრმად დაუფლება. მან გადაწყვიტა უმაღლესი განათლება მიეღო და კვალიფიციური სპეციალისტი გამხდარიყო. ეს გადაწყვეტილება რაიონის ხელმძღვანელობას გაანდო და მათაც მხარი დაუჭირეს. 1975 წელს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მეჩაიე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ამჟამად ის ინსტიტუტის უახლესი ტექნიკით აღჭურვილ კაბინეტ-ლაბორატორიებში ეუფლება მეცნიერებას. დარეჯანს გადაწყვეტილი აქვს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდეს და უფრო მეტი შესძინოს ლამაზ აჭარას.

ტანია ფარფალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნათელი გზით...



დღეს საბჭოთა აზერბაიჯანის ქალები მუშაობენ ბამბის პლანტაციებში და ბაღვენახებში, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებებში. ისინი ჭეშმარიტი გმირობის, შემოქმედებითი შრომის მაგალითს გვიჩვენებენ...

ჩვენს რესპუბლიკაში ორასზე მეტ ქალს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. აზერბაიჯანელ ქალთა შორის გაიზარდნენ მთელ საბჭოთა კავშირში სახელმოხვეჭილი მექანიზატორები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები. ჩვენი ხალხის სიამაყენი არიან სოციალისტური შრომის გმირები გიზგაით ჰასანოვა, მინა ნაზიროვა, ბაჰარ ტალიბოვა და ვასილია ზაიდოვა. სურეია ქერიმოვა, ზულეია ჰასანოვა და შარგია გულიევა სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავის გვერდით ამაყად ატარებენ „გმირი დედის" ორდენს. ამ გმირებს შორის არიან ექიმები შამამა ალესკეროვა და ზახრა ყაზიევა, პედაგოგი მესმა ათაკიშიევა, მეცნიერები ვალიდა თუთაიუკი, იზეთ ორუჯევა, ადელია ნამაზოვა და პიუსტა აზიზბეკოვა; სსრ კავშირის სახალხო არტისტები შოვქეთ მამედოვა, გამარ ალმასზადე, ოქიუმა ყურბანოვა, ფრანგიზ აჰმედოვა, ლეილა ვექილოვა და სხვები. ამ ქალებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც იცნობენ. მათ ეძღვნებათ საუკეთესო ლექსები, პოემები და სიმღერები.

რევოლუციამდე ქალის დაბადება ოჯახში ნამდვილი უბედურება და ტრაგედია იყო. ახლა გოგონას ბედნიერება და კეთილდღეობა მოაქვს. მის წინაშე გადაშლილია ახალი, ნათელი გზა და თამამად მიაბიჯებს ამ გზით — ოქტომბრის გზით.



* * *

მეოთხედი საუკუნის წინათ ფიზულის რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობა ჩამორჩენილი იყო. მაგრამ როცა კოლმეურნეებმა თავმჯდომარედ ახალგაზრდა მებამბე შამამა ჰასანოვა აირჩიეს, კოლმეურნეობაში ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა.

უკვე 25 წელია ამ კოლმეურნეობის დიდება რაიონის ფარგლებს გასცდა. ხოფეილმა არიათლიმ, სადაც პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ცხოვრობენ, ისე იცვალა სახე, რომ ველარც კი იცნობთ. თანამედროვე ლამაზი სახლები მწვანეშია ჩაფლული. ამ ბოლო წლებში აქ ასზე მეტი სახლი აშენდა. ფოსტალიონს სულ ახალ-ახალი მისამართების ძებნა უხდება... მთავრდება მეორე წყალსადენი ხაზის გაყვანა, აქ დიდიც და პატარაც გრძნობს თავმჯდომარის, შამამა ხანუმ ჰასანოვას დედობრივ მზრუნველობას. კოლმეურნეობის გამგეობის კანტორის მახლობლად დაუდგამთ ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შამამა ჰასანოვას ბიუსტი. იგი ოცდამეხუთედ აირჩიეს თავმჯდომარედ. კოლმეურნეობის კოლექტივი დიდი შრომითი წარმატებებით შეეგება იუბილეს.



* * *

ისმაილის რაიონის დაბა ლახიჯი ოდითგანვე ცნობილია ხალხური შემოქმედების ხელმარჯვე ოსტატებით. ძველ დროში ამ ოსტატების ნახელავი განთქმული იყო მთელ აღმოსავლეთში. როცა აქ ხალიჩის ახალი სახელოსნო გახსნეს, ქალებს თავიანთი ნიჭისა და ოსტატობის სარბიელი მიეცათ.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფატმა ისკანდეროვა ხალიჩის ერთ-ერთი საუკეთესო მქსოველია. მისი ხალიჩები ბევრ საბჭოთა ოჯახს ამშვენებს. იგი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული და ხუთწლედის დამკვრელია, მიღებული აქვს მედლები და საპატიო სიგელები. ხელმარჯვე მქსოველმა ვალდებულება იკისრა სამ წელიწადში შეასრულოს მეათე ხუთწლედი. მისი ქალიშვილი მინაიამი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დედის კვალს გაჰყვა.



* * *

აზერბაიჯანის ნ. ნარიმანოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სასწავლებელია. მისი ათასობით კურსდამთავრებული საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას.

ამ სახელმოხვეჭილი ინსტიტუტის რექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზაჰრა ხანუმ ყულიევა მეორედ აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე იგი არჩეუ-

ი. ბუტეევის ფერადი სლაიდები

ლია ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

* * *

აფშერონის რაიონის მეღორეობისა და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში დიდი სამამულო ომის დაწყებიდან მუშაობს ჯამილა ჰაჯიმამედ ყზი. როცა ძმა სეიფულა და ქმარი ნაღი ომში წავიდნენ, ჯამილამ მიწას დაუკავშირა თავისი ბედი. ომის დასასრულს ქმრის სისხლში ამოსვრილი კომკავშირული ბილეთი მიიღო... აღარც ძმა დაბრუნებია.

მაგრამ ჯამილა სულით არ დაცემულა, ცნობილი მებოსტნე გახდა. იგი „ოსტატი მებოსტნეა", დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით. ჯამილა ჰაჯიმამედ ყზი დიდი შრომითი გამარჯვებებით შეხვდა ოქტომბრის იუბილეს. მას და შვილიშვილს ნაღის ორმაგი დღესასწაული აქვთ. ის ხომ დიდი ოქტომბრის კბილაა — 7 ნოემბერს 60 წელი შეუსრულდა.

* * *

ჩვენს რესპუბლიკაში 250-ზე მეტი ქალი რაციონალიზატორი და გამომგონებელია.

ბაქოს საბურავების ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსს მესმა მამედოვას კარგად იცნობენ დარგის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მუშები და მოსამსახურეები. მისმა რაციონალიზატორულმა წინადადებებმა და გამოგონებებმა 345 ათასი მანეთის მოგება მისცა სახელმწიფოს. იგი 4 ნოვატორული და 30 რაციონალიზატორული წინადადების ავტორია.

დიდი იუბილის წინ მესმა მამედოვას კიდევ ერთი რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა წარმოებაში, რომელიც 60 ათას მანეთს დაზოგავს.

* * *

მანზარ ხანუმ აგაევამ 1967 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის განყოფილება. ერთი წლის შემდეგ კი მხატვართა კავშირში მიიღეს.

დამთვალიერებლები ყოველთვის დიდი ინტერესით უცქერენ მის ახალ ნაწარმოებებს.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად მანზარ ხანუმმა დაამთავრა ნახატების ციკლი „დიდი ოქტომბრის ქარცეცხლში შობილნი". ეს ციკლი აზერბაიჯანელ ქალებს ეძღვნება. მხატვრის გმირები არიან სარა აგაევა, რომელიც რევოლუციის პირველ წლებში თბილისში მცხოვრებ აზერბაიჯანელ ქალთა უწიგნურობის ლიკვიდაციისათვის იბრძოდა, ლატიფა ჰუსეინოვა — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიულუ აბილოვა — აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, ფატმა სულეიმანოვა — აქტიური საზოგადო მუშაკი და სხვები.

ასაშა იახიაევი



**სულეიმან რუსტამი**
აზერბაიჯანის სახალხო პოეტი,
სოციალისტური შრომის გმირი.

## კუბელ ქალიშვილს

შალ-დალის ქარი
გულანჩაის ნაპირას ქროდეს,
შენი ნაწნავი, შავგვრემანო,
ამ ქარში თრთოდეს!
ვით მწიფე ხილი,
შენი სიტყვა ისე ამოა,
შენი სახელი ამ გულიდან
აღარ ამოვა.
  ვარდი ვერ გჯობს გადაშლილი,
  კუბის მზეთუნახავო,
  ნუ წითლდები ბადახშივით,
  კუბის მზეთუნახავო!
ბალახის შრიალს, მდელოს სუნთქვას
შენს სუნთქვას ვადრი,
ამ ქვეყანაზე ერთმა ვიცი
მე შენი ყადრი.
ვარსკვლავთა სხივით
ჩემი ხელით ცის თალს სწერიხარ,
სულის სიღრმეში ჩაგიმარხე,
გულს მისვენიხარ.
  ვარდი ვერ გჯობს გადაშლილი,
  კუბის მზეთუნახავო,
  ნუ წითლდები ბადახშივით,
  კუბის მზეთუნახავო!
შენი დღეები ფოთლებივით
არსად დაცვივდეს,
გულს სულ ყვაოდეს გაზაფხული,
აღარ აცივდეს.
შენზე რომ ვმღერი დღედაღამე,
ესეც ბედია.
ეგ ორი ხელი, თოვლისფერი,
ორი გედია.
  ვარდი ვერ გჯობს გადაშლილი,
  კუბის მზეთუნახავო.
  ნუ წითლდები ბადახშივით,
  კუბის მზეთუნახავო!

## სადა ხარ?

ისევ მოვედი მდინარის პირას.
სადა ხარ?
გულს ისევ ტრფობის ისარი გმირავს.
სადა ხარ?
გიხმობ, მომწყურდი, ცეცხლი მედება,
ამ ტანჯვას წამლად რა დაედება?
სადა ხარ?
მდინარის ნაპირს გაღმა გავცქერი,
მეფრქვევა შენი ხმების ჩანჩქერი.
სადა ხარ?
ძვირფასო, ლოდინს ვერ გავუძელი,
ღმერთმა მაშოროს ტანჯვის უღელი.
სადა ხარ?
სიბერე ვერ სძლევს შენს სულეიმანს
და არ გაუდის ყავლი პაემანს.
სადა ხარ?

1972 წ.

თარგმნა ალექსანდრე ბეგაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქალაქი ბაქო

ი. შამილოვის ფოტო

ა. კარასოვი

# აღმოსავლეთის ბაზარზე ნაყიდი ქალიშვილი

(ნამდვილი ამბავი)

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, როცა შუა აზიაში ჯერ კიდევ გრძელდებოდა ბრძოლა ბასმაჩების წინააღმდეგ. ცხენოსანი ნაწილი, რომელშიც მე ვმსახურობდი, საზღვრისკენ მიერეკებოდა ბასმაჩების საკმაოდ დიდ რაზმს. თავის გადასარჩენად ისინი შეეფარნენ ნეიტრალურ ზონას, რომელსაც ინგლისელები უწევდნენ კონტროლს.

სადაზვერვო ესკადრონის მეთაურს ნიკოლოზ ზავიალოვს, სამხედრო თარჯიმანს რუსტამ კილდიშევს და მე დაგვავალეს როგორმე შეგვეღწია ნეიტრალურ ზონაში და, ჩვენი მეგობრების დახმარებით, შეგვეგროვებინა ცნობები, თუ რა კავშირი ჰქონდათ ბანდიტებს ინგლისელებთან და რას აპირებდნენ მომავალში.

ჩვენი საქმე კარგად აეწყო. მაშინ საზღვარი თითქმის არ იყო დაცული და შედარებით ადვილად გადავედით ნეიტრალურ ზონაში, კავშირი დავამყარეთ „ჩვენს ხალხთან“ და საჭირო ცნობები მოვაგროვეთ. ნაწილში დაბრუნებამდე გადავწყვიტეთ ადგილობრივ ბაზარში შეგვევლო, სადაც იმ დროს ბანდიტების მიერ საბჭოთა ტერიტორიიდან გადამალული ცხვრის ფარები და ცხენის რემები იყიდებოდა. ეს ბაზარი, ამასთანავე, ჩვენი შუა აზიის რესპუბლიკებში ნარკოტიკებით ვაჭრობისა და კონტრაბანდის ცენტრი იყო. გარდა ამისა, აქ ნაირნაირ ახალ ამბებს შეიტყობდით. თავის მხრივ ინგლისელები აქ მათთვის ხელსაყრელ ცნობებს ავრცელებდნენ, კერძოდ, საბჭოთა შუა აზიის შესახებ.

აღმოსავლური ბაზარი ევროპელებზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა. თვალს ჭრის ხასხასა ფერები. ყურთასმენა მიაქვს ცხვრის ბღავილს, ვირის ყროყინს, ცხენის ჭიხვინს, ურმის ჭრიალს, ვაჭრების გაძახილს. ყველგან, პირდაპირ ღია ცისქვეშ დამზადებული აღმოსავლური საჭმელების მადისაღმძვრელი სუნი ტრიალებს. აქ მოსულმა ადამიანმა არ უნდა დააყოვნოს, აქ დაბნევა არ შეიძლება. ჩვენი მეთაური ისე გვატარებდა ბაზარში, თითქოს აქაურობის ხშირი სტუმარი ყოფილიყოს. მას საკვირველი უნარი ჰქონდა — თავისუფლად ერკვეოდა ნებისმიერ მდგომარეობაში და ყველგან შინაურულად ეჭირა თავი.

შემოვიარეთ მთელი ბაზარი, შევიხედეთ ჩაიხანებში, თამბაქოს მოსაწევ ოთახში, მოვისმინეთ ახალი ამბები და ბოლოს გავედით პატარა მოედანზე, სადაც ჩვეულებრივად ცხენი, ძროხა, თხა და ცხვარი იყიდებოდა. აქ ჩვენი ყურადღება მიიპყრო ალიზის გალავნით შემოვლებული ხის ფიცარნაგის ირგვლივ შეგროვილმა ბრბომ. ფიცარნაგზე იდგა ორი ყმაწვილი კაცი და სამი ქალიშვილი. ერთერთი ქალიშვილი, ყველაზე უმცროსი, თუმცა იგი ძონძმანებში იყო გახვეული, არაჩვეულებრივად ლამაზი გახლდათ. გამოვიკითხეთ და შევიტყვეთ, რომ ეს თავჩაქინდრული ხუთეული ცოცხალი საქონელი ყოფილა. ადგილობრივ სოფლელ ავღანელ დედას, რომელიც ხელმოკლეობის გამო ვერ არჩენდა ამ ბიჭებს, მათი გაქირავება გადაუწყვეტია; ხოლო სპარსელი გლეხის სამი ქალიშვილი უმზითვოდ არავის უთხოვია, გაქირავებითაც ვერ გაუქირავებიათ და ახლა ბედკრული მამა იძულებული გამხდარა გაეყიდა ისინი.

ბიჭებს არავინ აქცევდა ყურადღებას, ხოლო ქალიშვილებს ცხოველებივით ათვალიერებდნენ, ხელით სინჯავდნენ და მამას ევაჭრებოდნენ. ბრბო ინტერესით ადევნებდა თვალს ამ ველურ ვაჭრობას.

ჩვენ ამ ამბავმა თავზარი დაგვცა და სანამ გონს მოვიდოდით, მამამ უკვე გაყიდა ორი უფროსი ქალიშვილი, ხოლო მესამე, ეს მართლაც აღმოსავლელი მზეთუნახავი ჯერ კიდევ გახურებული ვაჭრობის საგანი იყო. განსაკუთრებით ცხარობდა ერთი ჩასუქებული ხნიერი სპარსელი. იგი ხანდახან მიირბენდა ქალიშვილთან, მოკიდებდა ხელს, მოსწევდა თავისკენ, დაატრიალებდა თოჯინასავით და რატომღაც უჯავრდებოდა ქალიშვილის მამასა და მეტოქეებს. ქალიშვილს ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები.

უცებ ჩვენმა მეთაურმა გვითხრა, ქალს ვერავის ვერ დავანებებ, საქონელივით ვერ გავაყიდინებ, საბჭოთა კავშირში წავიყვანოთ და იქ ცოლად შევირთავო. სანამ მე და რუსტამი გონს მოვიდოდით, იგი ფიცარნაგთან მიიჭრა, ხუთი წუთის განმავლობაში რაღაცას უხსნიდა ქალიშვილის მამას, შემდეგ დაუთვლელად მისცა ფულის დასტა, მოჰკიდა ქალიშვილს ხელი და შემოიჭრა ბრბოში. ჩვენ გზა გავუკაფეთ ბრბოში, დავიქირავეთ მეეტლე და ნახევარი საათის შემდეგ უკვე შორს ვიყავით.

გზაში სიტყვა არ დაგვიძრავს, ბოლოს

მოვედით ადგილზე. ქალიშვილი დავაბინავეთ და ეზოში გამოვედით. აქ კარგა ხანს ვმსჯელობდით მომხდარ ამბავზე. მე და რუსტამი ვუმტკიცებდით მეთაურს, რომ მან მოუფიქრებელი და შეუწყნარებელი დანაშაული ჩაიდინა, როგორც პარტიის წევრმა და ჩვენმა მეთაურმა. ჩვენი სადაზვერვო ჯგუფიც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ისეც ჭირდა საზღვარზე გადმოსვლა, ამ სრულიად უცნობ ქალთან ერთად კი უფრო გაგვიჭირდებოდა. ისიც საკითხავი იყო, თვითონ ქალი როგორ შეეგუებოდა მდგომარეობას. ჩვენ ვცდილობდით აგვეხსნა მეთაურისთვის, რომ, თუმცა ქალი თავს მის „საკუთრებად“ თვლიდა და, როგორც ჩანს, მისი მორჩილი იქნებოდა, ეს სრულიად არ გვაძლევდა უფლებას, საბჭოთა კავშირში წამოგვეყვანა. საბრალოს ისიც ეყოფოდა უბედურებად, რომ მის დაუკითხავად ვიყიდეთ. ახლა კი მისი თანხმობის გარდა, აუცილებელი შეიქნა (და ეს მთავარია) ჩვენი ქვეგანაყოფის თანხმობა, რომ არაფერი ვთქვათ საბჭოთა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ნებართვაზე. ჩვენ ვთხოვეთ ქალიშვილი მამისთვის დაებრუნებინა და შეძლებისდაგვარად დავხმარებოდით. მაგრამ მას ჩვენი მოსმენაც კი არ სურდა. კოლია, ოცდაოთხი წლის ვაჟკაცი, ჩვენი კარგი მეგობარი და ერთგული თანამებრძოლი იყო. ვიცოდით, რომ ეს ამბავი მას კარგს არაფერს უქადდა და ყოველნაირად ვცდილობდით როგორმე დაგვეყოლიებინა. ყოველი ცდა ამაო აღმოჩნდა. ერთადერთი ის იყო, რომ დაგვპირდა, ქვეგანაყოფს დავუკავშირდები და ყველაფერს დაწვრილებით მოვახსენებო. ახლა უნდა გაგვეგო, რა აზრისა იყო ქალიშვილი, რომლის სახელიც კი არ ვიცოდით. მამასთან დაბრუნებას ხომ არ ისურვებდა. შინ რომ დავბრუნდით, ყველაფერი გამოვკითხეთ და გამოვარკვიეთ, რომ იგი, თურმე, სპარსული ენის იშვიათ დიალექტზე ლაპარაკობდა. რუსტამმა ჩინებულად იცოდა სპარსული, მაგრამ ჩვენს ქალიშვილს თითქმის ვერაფერი გაუგო. დიდი გაჭირვებით, ცალკეული სიტყვების შეკოწიწებით გამოვარკვიეთ, რომ ზარიმა რქმევია, დედით ობოლი ყოფილა და ის დანარჩენ და-ძმებთან ერთად მამას გაუზრდია. ძალიან ღარიბები ყოფილან, ლუკმაპურს ძლივს შოულობდნენ. ამიტომ გადაუწყვეტია მამას ქალიშვილების გაყიდვა, ვაჟი კი დაიტოვა, წამომესწრება და მხარში ამომიდგებაო. ზარიმა მამას არ ამტყუნებდა, მათ მხარეში შვილების გაყიდვა ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. სამუშაოს შოვნა ვაჟკაცსაც უჭირდა, ქალიშვილისთვის კი საერთოდ შეუძლებელი იყო. გათხოვებაც ჭირდა — უმზითვო ქალი არვის უნდოდა. როცა ვკითხეთ, მამასთან დაბრუნებას ხომ არ ისურვებდა, ცივი უარი გვითხრა და დასძინა, მამას რომ დავუბრუნდე, იმ „საშინელ კაცს“ მიმყიდის, ასე გააფთრებული რომ ევაჭრებოდა მამაჩემსო. აქვე გამოგვიტყდა, ძალიან მომწონხართ და თქვენთან დარჩენა მირჩევნიაო. ავუხსენით რომ ჩვენ იქაურები არ ვიყავით, მაგრამ მტკიცედ გვითხრა, რომ მზად არის ცხრა მთას იქით გამოგვყვეს, შემდეგ კი მორჩილების ნიშნად თაყვანი სცა ნიკოლოზს — თქვენი მონა ვიქნებიო, რამაც ძლიერ განარისხა კოლია.

ასე თუ ისე, საქმის ერთი მხარე მოგვარდა, მაგრამ ქალიშვილი ნახევრად ტიტველი და ფეხშიშველი იყო. წინ ძნელი გზა გვედო. კოლია ქალიშვილთან დარჩა, რომ დაეპურებინა. ქალიშვილი ხარბად შესცქეროდა სუფრაზე საჭმლის ნარჩენებს. მე და რუსტამმა მაღაზიას მივაშურეთ, რომ ზარიმასთვის გვეყიდა ყველაფერი, რაც გზაში დასჭირდებოდა. სამზადისს მხოლოდ საღამოს მოვრჩით. იმ დღეს წასვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მაინც კმაყოფილი დავრჩით, ქვეგანაყოფმა საბჭოთა კავშირში ზარიმას ჩამოყვანის ნება მოგვცა. მან დაისვენა და კარგ გუნებაზე დადგა, ხოლო როცა ჩვენმა დიასახლისმა დაბანა და ყველაფერი ახალი ჩააცვა, ისე გახალისდა, რომ თავი ბედნიერად ჩავთვალეთ.

შინ მშვიდობით დავბრუნდით. ჩვენი ახალი თანამგზავრი თავს მშვენივრად გრძნობდა და ერთხელაც არ მოუწყენია, თუმცა ფეხები ეტკინა — ვერ შეეჩვია ფეხსაცმლით სიარულს — და თითქმის მთელი გზა ფეხშიშველმა გამოიარა.

საზღვარი გადმოვლახეთ და ერთერთი მორიგი შესვენების დროს ზარიმას ავუხსენით, რომ ახლა იგი საბჭოთა კავშირშია. რა თქმა უნდა, არ დაგვვიწყებია გვეთქვა, თუ სინამდვილეში ვინ ვიყავით. მან ვერაფერი გაიგო და ჩვენ მივხვდით, რომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმაზე, რომ სხვა ქვეყნებიც არსებობს, და, ცხადია არც საბჭოთა კავშირზე სმენია რაიმე.

იგი მორჩილად შესციცინებდა თვალებში თავის ახალ „პატრონს“. მხედველობიდან არ გამორჩენია მისი არც ერთი მოძრაობა და ცდილობდა ესიამოვნებინა მისთვის. კლდეღრეში სიარულით ზარიმამ ძლიერ დაიშავა შიშველი ფეხები და ძალიან უჭირდა სიარული. ნიკოლოზი ბავშვივით აიყვანდა ხოლმე ხელში და ასე მოჰყავდა. ზარიმა არ უცხოობდა, ეხვეოდა მას ყელზე და უშინაურდებოდა.

ერთად მგზავრობამ ძალზე დაგვაახლოვა. ნიკოლოზი მას ზორას ეძახდა, ხანდახან ზორკასაც, და ეს მისგან შერქმეული სახელი სამუდამოდ შერჩა.

ნაწილში რომ დავბრუნდით, მთლიანად ჩავებით ჯარისკაცულ ცხოვრებაში. ყოველდღე, დილიდან დაღამებამდე მოუცლელი ვიყავით. დღედაღამ ჩვენთან ერთად იყო კოლია ზავიალოვიც. ქვეგანაყოფსა და პარტორგანიზაციაში დიდი ხნის განმარტებების შემდეგ მან მოაგვარა მთელი ეს ამბავი და ზარიმა ცოლად შეირთო, თუმცა მათი ოჯახური ცხოვრება კარგად ვერ აეწყო.

მათ ურთიერთობაში ზარიმამ აღმოსავლელი ქალისათვის აღზრდით ჩანერგილი დამახასიათებელი, საუკუნოებით განმტკიცებული ყველა რწმენა შეიტანა. ცოლი მონაა — სხვანაირად ვერ წარმოედგინა და მოკიდებულება ქმართან. ყოველ დილას, როდესაც გაეღვიძებოდა კოლიას, ზარიმა უკვე იჯდა წყლით სავსე დოქით მის ლოგინთან, რომ ხელ-პირი და ფეხი დაებანა. რაგინდ გვიანაც უნდა დაბრუნებულიყო კოლია შინ, ცოლი მოთმინებით უცდიდა და არავითარ შემთხვევაში არ დაწვებოდა დასაძინებლად. დაძინების წინ აუცილებლად დაბანდა ფეხს. თუ ნიკოლოზი გაუძალიანდებოდა, ზარიმა თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. გაჭირდა ჭამა-სმის საქმეც. ქალმა მეთაურების სასადილოში სიარულზე უარი განაცხადა და მოითხოვა, რომ კოლიას შინ ეჭამა, თუმცა კერძის მომზადება არ იცოდა. ზარიმას რომ არ სწყენოდა, ნიკოლოზი იძულებული შეიქნა მოთმინებით ეჭამა მისი გაკეთებული საჭმელი. ნიკოლოზთან ერთად სუფრას არ მიუჯდებოდა, მერე შევჭამო. ვერც ეს მოაშლევინა ნიკოლოზმა. ზოგჯერ, როცა დილით ნაწილში ეჩქარებოდა, უსაუზმოდ მიდიოდა, დღისითაც ყოველთვის ვერ ასწრებდა სადილად შინ მისვლას. ზარიმა ამას ძალიან განიცდიდა, ჯავრობდა, ტიროდა, გახდა და მოიწყინა.

ნიკოლოზი იტანჯებოდა, არ იცოდა რა ექნა. ბოლოს მე და რუსტამს შეგვეხვეწა, უჩემოდ მოელაპარაკეთო ზარიმას. იგი სიხარულით შეგვხვდა, მაგრამ როგორც კი ჩვენი სტუმრობის მიზანს მიგვიხვდა, პირში წყალი ჩაიგუბა. ვკითხეთ ავად ხომ არა ხარ, იქნებ რითიმე დაგეხმაროთ-მეთქი. ატირდა, ჯანმრთელობას არ ვუჩივი, მაგრამ უბედური ვარო... ნიკოლოზს აღარ ვუყვარვარ და მალე დარდით მოვკვდები, თქვენ მე ველარ მიშველითო. გვთხოვა, ნუ დამივიწყებთ, თქვენს მეტი არავინა მყავსო. ამაოდ ვცდილობდით დაგვერწმუნებინა ზარიმა, რომ ნიკოლოზს იგი უყვარს და იტანჯება. დაღონებულებმა გადავწყვიტეთ მოვთათბირებოდით ჩვენს კომისარს.

ჩვენი ნაწილის კომისრად გვყავდა ძველი ბოლშევიკი, რომელიც მეფის დროს დიდხანს იყო ემიგრანტად ირანში, სადაც ნავთის სარეწებში მუშაობდა. მან კარგად იცოდა შუააღმოსავლელ ხალხთა ზნე-ჩვეულებანი. ნაწილში მას ენდობოდნენ და ძლიერ უყვარდათ. ჩვენთვის იგი დიდი ავტორიტეტი იყო.

გადავწყვიტეთ დაგვეყოლიებინა ნიკოლოზი, რომ კომისართან მისულიყო. ნიკოლოზი, როგორც მეთაური, ყოველთვის ძალიან ზრუნავდა თავის ხელქვეითებზე, მათ არასოდეს არავის არ დააჩაგვრინებდა. გამბედავი, შეუპოვარი უფროსებს არ ერიდებოდა და თამამად გამოთქვამდა ხოლმე თავის აზრს, მაგრამ უაღრესად მოკრძალებული იყო, როცა საქმე მის პირად ინტერესებს ეხებოდა. რასაც გნებავთ, იმას სთხოვდა უფროსებს თუ საქმე მის ხელქვეითებს ან მის თანამებრძოლებს ეხებოდა. საკუთარი თავისთვის თხოვნა კი არ შეეძლო. როგორც იქნა დავიყოლიეთ— კომისართან მისულიყო და ყველაფერი

ემბნა, მაგრამ იმ პირობით, რომ ჩვენც წავყოლოდით.

კომისარმა იმავე დღეს მიგვიღო და ნიკოლოზმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი ცოლთან ურთიერთობის შესახებ. როცა აღელვებულ ნიკოლოზს ხმა ჩაუწყდებოდა ხოლმე, მე და რუსტამი ყოველნაირად ვცდილობდით დავხმარებოდით და შექმნილი სიტუაციის სრული სურათი დაგვეხატა, საუბრის დროს კომისარი შეკითხვებს გვაძლევდა, ყოველ წვრილმანს იძიებდა. როცა ლაპარაკს მოვრჩით,ისე გადმოგვხედა, თითქოს ყმაწვილები ვყოფილიყავით, და გაეღიმა.

— თქვენ, მგონი, აღმოსავლური ენები იცით, აღმოსავლეთში მუშაობთ, მაშ რატომ იცნობთ ასე ცუდად იქაურ თავისებურებებს? აი შენ, ნიკოლოზ, მთელი თვეა ლამის შიმშილით სული ამოხადო ცოლს. თქვენი ნაამბობიდან ჩანს, რომ იგი მაჰმადიანური რელიგიის უძველესი ადათებით არის აღზრდილი. აღმოსავლეთში, ისლამის მოძღვრების მიხედვით, ცოლს უფლება არა აქვს ქმართან ერთად მიუჯდეს სუფრას. იგი მოვალეა ჭამის დროს ქმარს ემსახურებოდეს და მხოლოდ მერე მიუჯდეს ნასუფრალს, როცა ქმარი ადგება. თუ ქმარს ცოლი უყვარს, საუკეთესო კერძს, განსაკუთრებით ტკბილეულს, ცოლს უტოვებს. შენ კი თვითონ ამბობ, ყველაფრის შეჭმას ვცდილობდიო... ქალი აშკარად შიმშილობს და, თუ ასე გაგრძელდა, შიმშილი და მწუხარება მოკლავს, რადგან ეგონება, არ ვუყვარვარო. ჩემო კარგო, რაკი ღმერთი გაგიწყრა და ასეთი ცოლი მოიყვანე, თანაც გიყვარს, მოვალე იყავი გცოდნოდა ყოველივე ის, რაც ახლა გითხარი, და მეტი ყურადღება გამოგეჩინა... მის თვალში ხომ შენ ყოველგვარ აღმოსავლელ დესპოტზე უარესად გამოიყურები. ან რატომ არ დაგყავს არსად, დღედაღამ შინ რატომ გიზის? აბა, დახედე, ქმარი ყოველდღე დილაადრიან მიდის და გვიან ბრუნდება, არასოდეს არ სცალია და თითქმის არ უტოვებს ცოლს საჭმელს... წარმოიდგინე, რა უნდა იფიქროს შენზე?

კომისართან ჩვენმა საუბარმა სამიოდე საათს გასტანა. დარცხვენილები გამოვედით, ნიკოლოზი კი გზადაგზა განუწყვეტლივ იმეორებდა: „რა სულელი ვარ, როგორ ვერ მივხვდი ყოველივე ამას თვითონ!“.

მალე კომისრის თხოვნით ჩვენი მეთაურების ცოლებმა ზარიმას შეფობა იკისრეს. ერთერთმა ქალმა წერა-კითხვისა და რუსული ენის სწავლება დაუწყო. სხვანი საზოგადოებრივ მუშაობაში აბამდნენ, თავიანთ ოჯახებში ეპატიჟებოდნენ. თავიდან სცხვენოდა, მაგრამ ნელ-ნელა მიეჩვია, შემდეგ ბევრს დაუმეგობრდა და თანდათან გათამამდა. იგი აკვირდებოდა, როგორი ურთიერთობა იყო ცოლ-ქმარს შორის მეთაურთა სხვა ოჯახებში და ნელ-ნელა გადაეჩვია ბავშვობის დროს ჩანერგილ ცრურწმენებს. ნიკოლოზთან მისი ურთიერთობაც იცვლებოდა. როცა იგი რამეს უხსნიდა, ყურადღებით უსმენდა, აღარ სწყინდა მისგან არაფერი და ცდილობდა ისე მოქცეულიყო, როგორც ნიკოლოზი ურჩევდა. ძალზე მუყაითად სწავლობდა წერა-კითხვასა და რუსულ ენას. და როცა ისწავლა, ძალიან გაიტაცა კითხვამ.

წელიწად-ნახევრის შემდეგ თითქმის თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულს, თუმცა სიტყვის მარაგი ფრიად შეზღუდული ჰქონდა. მისი ცოდნა უკვე დაწყებითი სკოლის დონეზე იყო. ზარიმა, პირდაპირ, დიდი ბავშვი გახდა. ხშირად ისეთ რამეს იკითხავდა, რაც ჩვენში ბალღმაც კი იცის. ნიკოლოზმა იგი მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში მოაწყო. მათი ოჯახური ურთიერთობა მოგვარდა, ბედნიერად ცხოვრობდნენ, და ზარიმა კვლავ გახალისდა და გალამაზდა. ისე იცვამდა, როგორც სხვა მეთაურთა ცოლები. უარი თქვა მუქ კაბებზე, თავსაფარზე, რომლითაც თავდაპირველად სახის დამალვას ცდილობდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი ნაწილი შუა აზიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადაიყვანეს, სადაც ანტისაბჭოური ელემენტები გააქტიურდნენ, იქ ერთერთი საბრძოლო ოპერაციის დროს დაიღუპა ჩვენი ესკადრონის მეთაური ნიკოლოზ ზავიალოვი.

ჩვენი ნაწილის მეთაურთა ოჯახები შუა აზიაში დარჩნენ. ჩვენ შევუთანხმდით სარდლობას და ზარიმა ნიკოლოზის დაკრძალვაზე გამოვიძახეთ. ძნელი იყო მაშინ ეს გზა და ზარიმა მხოლოდ მეექვსე დღეს ჩამოვიდა. ნიკოლოზი უკვე დავასაფლავეთ. ქმრის საფლავზე მივიყვანეთ. ძლიერ განიცადა მისი სიკვდილი!... მაგრამ ეს უკვე უმწეო, ველური ქალიშვილი კი არა, მოწიფული, გონიერი ქალი გახლდათ, რომელიც სწორად აფასებდა თავის მდგომარეობას. მან თქვა, ნიკოლოზს ძალიან უნდოდა, რომ მე მესწავლა და მის სურვილს აღვასრულებო. ჩვენ ზარიმას ვურჩიეთ, შვიდწლედის დამთავრების შემდეგ ტაშკენტის აღმოსავლეთის ხალხთა ინსტიტუტის მუშფაკში შესულიყო და სარდლობის რეკომენდაცია მივეცით.

რამდენიმე წლის შემდეგ მომწერა, რომ მუშფაკში შესულა. შემდეგ მიმოწერა შევწყვიტეთ. ჯერ დიდხანს ვიყავი მივლინებაში, შემდეგ დიდი სამამულო ომი დაიწყო, მერე მივლინება მივლინებას მოჰყვა. ჩემი ძველი მეგობრები შემომეფანტა, მათ შორის ზარიმაც.

ოცდაათ წელზე მეტი გავიდა, სანამ კვლავ შევხვდებოდით ერთმანეთს.

გამიკვირდა, ისე ახალგაზრდულად გამოიყურებოდა: ისეთივე ტანწერწეტა იყო, მსუბუქად დადიოდა და კვლავ ამაყად ეჭირა თავი, რომელსაც კვლავინდებურად შავი ხუჭუჭი თმა უმშვენებდა. და ძალიან უნდა დაკვირვებოდით, რომ თვალების ირგვლივ უმნიშვნელო ნაოჭები შეგემჩნიათ.

ნიკოლოზის სიკვდილის შემდეგ მან ფიცი დადო, რომ მისი ერთგული დარჩებოდა და წმიდად აღასრულა ეს აღთქმა. მან ბედნიერება მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადო მოღვაწეობაში ჰპოვა.

მუშფაკის შემდეგ, დიდი სამამულო ომის წინ, აღმოსავლეთის ხალხთა ინსტიტუტში შესულა. ომის დამდეგს, როცა მეორე კურსზე იყო, წითელ არმიაში გაუწვევიათ და სამხედრო თარჯიმნად უმუშავია ირანში განლაგებული საბჭოთა ჯარების შტაბში. 1943 წელს კომუნისტურ პარტიაში შევიდა.

1946 წელს, დემობილიზაციის შემდეგ, ჯერ ფილოლოგიური განათლება მიიღო, შემდეგ კი ასპირანტურაც დაამთავრა. 1956 წელს საკანდიდატო, 1963 წელს კი — სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ახლა იგი უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის ერთერთი ინსტიტუტის სექტორის გამგეა. ძალიან მოსწონს მასწავლებლობა. აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა ქალების კომიტეტისა და აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის მუშაობაში.

ზარიმამ გაიხსენა ირანში ყოფნის ხანა და მიამბო:

— ომის წლებში მშობლიური ადგილები მოვინახულე, შევხვდი ძმას და უფროს დას და მაშინ უფრო მეტად შევიგნე, რამდენად დავალებული ვიყავი ნიკოლოზისგან. ყველა ჩემი მეგობარი მეუბნება, სენტიმენტალური ხარო, მაგრამ ჩემთვის მართლაც სასწაული და ბედნიერი შემთხვევა იყო, ნიკოლოზმა რომ გამომისყიდა!.. ხომ შეიძლებოდა, რომ ეს არ მომხდარიყო? ყველაფერს, რითაც ვსულდგმულობ, რითაც ბედნიერი ვარ, მხოლოდ მას უნდა ვუმადლოდე... რა კარგია, რომ მაშინ არ შეგეშინდათ საბჭოთა კავშირში ჩემი ჩამოყვანა!

ბოლო ხანს ხშირად ვხვდები ზარიმას, რადგან მეც მეცნიერებათა აკადემიაში ვმუშაობ. ერთხელ, პარიზში, სამეცნიერო კონგრესზე ზარიმას ბრწყინვალე მოხსენების შემდეგ, ჩემმა ძველმა ნაცნობმა, ამერიკელმა პროფესორმა ჯ. უარდელმა მითხრა:

— კოლეგავ, მე ხშირად გხედავთ პროფესორ ზავიალოვასთან ერთად. ეტყობა, კარგი მეგობრები უნდა იყოთ. სად „გამოძებნეთ“ ასეთი მომხიბლავი და ჭკვიანი ქალი? აღტაცებული ვარ.

— პროფესორო, — ვუპასუხე მე,—რომ გითხრათ, სიყმაწვილეში ეს ქალი ნამდვილი ველური იყო-მეთქი, არ დამიჯერებთ და მეტყვით, ეს მორიგი საბჭოური პროპაგანდააო. ასე კი გახლავთ.

და მე მწყუროდა, საბჭოთა ახალგაზრდებისთვის მეამბნა ზარიმას ეს საოცარი ამბავი. როცა მას ვთხოვე ამის ნება, ჯერ შეცბუნდა, მერე კი მოვილაპარაკეთ, რომ სხვა გვარით მომეხსენიებინა. თუმცა, რა საიდუმლოებაზე შეიძლება აქ ლაპარაკი, როცა ზარიმა იმდენად ცნობილია პროფესიულ წრეებში, რომ ნებისმიერი აღმოსავლეთმცოდნე ადვილად მიხვდება, ვისზეა ლაპარაკი.

თარგმნა ალ. ჩხაიძემ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# სიყვარული გზად და ხიდად

ის გაზაფხული საოცრად ჰგავდა წინა გაზაფხულს, მაგრამ მაინც იყო რაღაცით უჩვეულო, ამაღლებული და ლამაზი. აქაც ისევე ყვაოდა იები და ყოჩივარდები, როგორც იქ, მის მშობლიურ ქვეყანაში. თეთრად და ვარდისფრად გადაპენტილმა ხეებმა, კაშკაშა მზემ, გამვლელთა მომღიმარე სახეებმა მშობლიური ქალაქი გაახსენა. უნივერსიტეტის ფართო კიბეებს რომ აუყვა, სულ სხვა სიხარული იგრძნო. აქ უნდა გაეტარებინა სტუდენტური წლები, აქ უნდა ზიარებოდა ცოდნის დიდ სამყაროს.

რა სწრაფად გაირბინა სტუდენტურმა ხუთმა წელიწადმა. უკან დარჩა ყველაზე ბედნიერი ხანა მისი ცხოვრებისა. და რუმინელი ქალიშვილი ფანი ტოლცისი — ფრანგული ენის სპეციალისტი საბოლოოდ დამკვიდრდა თბილისში. აქ შექმნა საკუთარი ოჯახი. მისი ნამდვილი გვარი აღარავის ახსოვს. ფანი ჯინჯიხაშვილი — ასე იცნობენ მას ნაცნობ-მეგობრები და ამხანაგები, სტუდენტები და თანამშრომლები.

მის გარშემო შემოიკრიბნენ ისინი, ვისაც უნდოდა შეესწავლა რუმინული ენა. და ფანიც სიამოვნებით ასწავლიდა მათ თავის მშობლიურ რუმინულს. პროფესორმა მიხეილ კვესელავამ, რომელსაც დიდად უმადლის ფანი ჯინჯიხაშვილი, რუმინული ენის შემსწავლელთა კურსებიც კი გახსნა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში. ასეთივე ჯგუფი გაიხსნა აგრეთვე თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

საქართველო და რუმინეთი — ეს ორი ქვეყანა მისთვის ასე მშობლიური და სათაყვანებელი — ფანი ჯინჯიხაშვილისათვის კვლევისა და მეცნიერული საქმიანობის წყარო გახდა. მისი სადისერტაციო შრომაც („ანთიმოზ ივერიელი — მწერალი, ჰუმანისტი“) ხომ ანთიმოზ ივერიელის — წარმოშობით ქართველის, დიდი რუმინელი განმანათლებლის, მოაზროვნის, რუმინული სალიტერატურო ენის შემქმნელისა და სტამბის დამაარსებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა.

დიდი სიამაყით ლაპარაკობს ქალბატონი ფანი ანთიმოზ ივერიელზე. მეცნიერმა ქალმა ფეხით მოიარა რუმინეთში ყველა ის ადგილი, სადაც უცხოვრია და უმოღვაწნია ამ ბრძენკაცს. მას არ ასვენებს ფიქრი ამ დიდი პიროვნების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუმინელ-ქართველთა დაახლოებასა და მეგობრობაში. ანთიმოზ ივერიელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული სტამბის დაარსებაში თბილისში და თავისი მოსწავლე მიხაი შტეპანოვიჩი წარმოგზავნა საქართველოს დედაქალაქში. ქართველთა მეფემ ვახტანგ მეექვსემ ძვირფას თანამემამულეს ამ სტამბაში დაბეჭდილი „სახარება“ გაუგზავნა, რომელიც ანთიმოზმა რუმინეთის ხელმწიფეს კონსტანტინ ბრინკოვიანუს მიართვა საჩუქრად...

ბევრი სტატია, მეცნიერული გამოკვლევა მიუძღვნა ფანი ჯინჯიხაშვილმა საქართველო-რუმინეთის ურთიერთობას. ამ ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას მან პედაგოგიური მოღვაწეობაც წარმატებით შეუთავსა. ფანი თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის დოცენტია. წლების მანძილზე რუმინულს ასწავლიდა, შემდეგ — ფრანგულ ენას. ახლა რუმინულ ენას ქართველ სტუდენტებს მისი უმცროსი და როზიკა ასწავლის.

— საქართველოა ჩემი ცხოვრება — ამბობს ქალბატონი ფანი. ის ხომ ძალიან ჰგავს რუმინეთს ბუნებითაც და მდებარეობითაც, და რაც მთავარია, ხალხი ჰგავს ერთმანეთს, გულთბილი და სტუმართმოყვარე, კეთილი და გამტანი.

რუმინეთში ფანის ოჯახი საქართველოს დიდი მეგობარი და თაყვანისმცემელი გახდა. მისი მამა, ცნობილი რუმინელი მღვინე, ბევრი რუმინული ღვინისა და სასმელის შემქმნელია. მან გულით შეიყვარა საქართველო, დაუმეგობრდა ბევრ ქართველ მოღვაწეს და მათ შორის, ჩვენს სასიქადულო პოეტს გიორგი ლეონიძეს. — მამაჩემი აქ რომ ჩამოდის, გვიყვება ფანი,— შინ ვერ ვნახულობთ. როცა ბოლოსდაბოლოს გამოჩნდება, აღტაცებით მეუბნება, ასე მგონია ბუქარესტის ქუჩებში დავდივარ, ჩემს მეგობრებს ვხვდები და ზოგჯერ ისიც კი მეჩვენება, რომ ჩემს სახლს ჩავუარე გვერდითო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანი ჯინჯიხაშვილმა რუმინელ მკითხველებს ქართული ლიტერატურის ბევრი ნიმუში გააცნო და შეაყვარა. ახლახან რუმინეთში, ქალაქ იასის გამომცემლობა „უნიმიამ“ გამოსცა ბესიკის ლექსების კრებული. დიდი ქართველი მგოსანი ხომ იასაში განისვენებს. ეს ლექსები ფანიმ რუმინელ პოეტ დუმიტრუ იონთან ერთად თარგმნა. სხვათაშორის, დუმიტრუ იონმა წიგნი უძღვნა საქართველოს — პოეტური მოთხრობა დაწერა ჩვენს რესპუბლიკაზე, მის შრომისმოყვარე და ნიჭიერ ხალხზე, ქართველ მეგობრებთან თავის შეხვედრებზე. ფანი ამ წიგნსაც თარგმნის.

ახლახან ფანი ჯინჯიხაშვილმა დაწერა მეცნიერული გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ რუმინული თარგმანების ანალიზი“, რომელიც ცალკე წიგნად გამოვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსაცემად ამზადებს ოთხტომეულს — „რუსთაველი მსოფლიოს ქვეყნებში“. ერთ-ერთი ნაწილი — „რუსთაველი რუმინეთში“—ფანი ჯინჯიხაშვილს ეკუთვნის. ბუქარესტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაკვეთით იგი წერს გამოკვლევას — „ქართული ლიტერატურის განვითარება ვახტანგ მეექვსის ეპოქაში“.

ფანის ერთადერთი ვაჟი ჰყავს — გაბრიელი. მან კარგად იცის რუმინული ენა და დედასთან ერთად თარგმნის რუმინული ლიტერატურის ნიმუშებს. გაბრიელი სპეციალობით ფიზიკოსია. მან ერთ-ერთი გამოკვლევა მიუძღვნა რუმინელ ფიზიკოსებს, რომელიც თბილისში დაიბეჭდა. დედაშვილი აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საქართველოს განყოფილების მუშაობაში. ფანი ამ განყოფილების თავმჯდომარის მოადგილეა, გაბრიელი კი — გამგეობის წევრი.

მუდამ დაუღალავი, შრომისმოყვარე ფანი ჯინჯიხაშვილი ბევრი საინტერესო თაოსნობის ავტორია. მან თავის დასთან ერთად, უცხო ენათა ინსტიტუტში, დააარსა კლუბი „მარტიშორი“. ეს ტრადიციული დღესასწაულის სახელწოდებაა. მას აღნიშნავენ რუმინეთში გაზაფხულის მოსვლასთან ერთად. კლუბი უშვებს გაზეთებს, აწყობს კონკურსებსა და ვიქტორინებს, ეცნობა და პროპაგანდას უწევს რუმინულ ლიტერატურას. მისი წევრები ხვდებიან საქართველოში ჩამოსულ რუმინელ მწერლებსა და მეცნიერებს, აღნიშნავენ რუმინეთის ეროვნულ დღესასწაულს და სხვა ღირსსახსოვარ დღეებს.

— როცა დიდი სიყვარულია, ყოველი დიდი საქმეც იოლად დასაძლევია — ამბობს ქალბატონი ფანი. თუ კი რაიმე მცირედი გავაკეთე საქართველოსა და რუმინეთის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის სასარგებლოდ, ამაში დამეხმარა სიყვარული ამ დიდებული ქვეყნისა, მისი ხალხისა, მისი მიწისა და მზისა. სიყვარული კი ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ხიდია.

მერი გაბრიაძე

# შეხვედრა

საველე ჰოსპიტლიდან ექიმების დასკვნით შემდგომი მკურნალობისათვის № 1453 საევაკუაციო ჰოსპიტალში გადმომიყვანეს.

მძიმედ დაჭრილი მეომრებით გაჭედილი ეშელონი ნელი სვლით შევიდა სადგურში. ავადმყოფების მისაღებად ჰოსპიტლის მთელი სამედიცინო პერსონალი გამოცხადდა, ვაგონში სანიტრების ჯგუფთან ერთად ექიმი-ორდინატორი ნინო ილიას ასული შემოვიდა. იგი ფეხზე მოსიარულეებს თვითონ მიჰყვებოდა ვაგონის დერეფანში, ხოლო მძიმედ დაჭრილები სანიტრებს გადაჰყავდათ რიგრიგობით.

მიმღებში შემოწმების შემდეგ მდგომარეობის სირთულის მიხედვით სხვადასხვა განყოფილებებში გაგვანაწილეს. მე მე-17 პალატაში მოვხვდი, სწორედ იმ განყოფილებაში, რომელიც ახალგაზრდა ექიმს ნინო ფირცხალაშვილს ებარა. პალატაში სულ ხუთი მძიმედ დაჭრილი ვიწექით. განსაკუთრებით ჩემი მდგომარეობა იყო მძიმე. ზოგს ხელიც კი ჰქონდა ჩაქნეული და სამუდამო ხეიბრობას მიქადდა. მარტო ნინო ექიმი არ კარგავდა იმედს, ყოველთვის მამხნევებდა: „გულშიც არ გაივლო, კოლია, შენს ფეხს ნახევარი სანტიმეტრიც არ დააკლდება, მოკვეთაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო“.

ასეთი სიტყვებით მამხნევებდა და მეც იმედი მიღვიოდა გულში, ვაჟკაცურად ვიტანდი გასაჭირს.

ნინო ფირცხალაშვილის კატეგორიული მოთხოვნით კონსილიუმი მოიწვიეს, სადაც გადაწყდა ჩემთვის ხელმეორედ გაეკეთებინათ ოპერაცია. თუმცა ექიმთა უმრავლესობა ამ ოპერაციის შედეგზე ნაკლებ იმედს ამყარებდა, ნინო ექიმის დაჟინებულ მოთხოვნას მაინც ანგარიში გაუწიეს და საოპერაციოდ გამიყვანეს.

საათი და 25 წუთი გაგრძელდა ოპერაცია. მადლობა ღმერთს, ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ჩემი მკურნალი ექიმი ვარაუდობდა — ჭრილობა შემიხორცდა და ოცი დღის შემდეგ ფეხზე წამოვდექი. სიხარულით გულაძგერებულმა პირველი სუსტი ნაბიჯები გადავდგი და ახალფეხადგმული ბალღივით სვენებ-სვენებით შემოვიარე ჩვენი პალატის ოთხივე კუთხე, მერე კი ნინო ექიმის ოთახისაკენ გავწიე.

— ქალბატონო ნინო, არ ვიცი როგორ გამოვთქვა ჩემი სიხარული, რით გადაგიხადოთ მადლობა. თქვენ მე ხეიბრობას გადამარჩინეთ. ნინო ექიმის თვალებში ზღვა სიხარული ჩამდგარიყო:

— მე ვარ მადლობელი, ჩემო კოლია, შენი გადარჩენით ჩემი რწმენაც გადავარჩინე, რწმენა ბრძოლისა და გამარჯვებისა. ექიმმა არასოდეს არ უნდა დაკარგოს გამარჯვების რწმენა...

ბევრი ამ გამარჯვებას ბედნიერ შემთხვევას მიაწერდა. მე კი ვიცი, რომ ეს გამარჯვება ახალგაზრდა ექიმის ნიჭის, მონდომებისა და დაუღალავი შრომის შედეგი იყო.

... 1975 წლის ოქტომბერში შავი ზღვის სანაპირო ქალაქის სანატორიუმში ვისვენებდი. დამსვენებელთა ერთი ჯგუფი ბათუმის ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად წაგვიყვანეს. ავტობუსში შეუძლოდ გავხდი — მარჯვენა ქვედა ყბის არეში ყრუ ტკივილი ვიგრძენი. პირველად ყურადღება არ მივაქციე, არ მინდოდა სხვების ყურადღება მიმეპყრო, გაივლის მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ტკივილები თანდათან გაძლიერდა... როდესაც აჭარის რევოლუციური მუზეუმის დასათვალიერებლად მანქანიდან ჩამოვედით, აუტანელი ტკივილების გამო გრძნობა დავკარგე, გონს რომ მოვედი, ქირურგი-სტომატოლოგის სავარძელში ვიჯექი და ხანში შესული მანდილოსანი მზრუნველობით დამტრიალებდა თავს. „აბა, პირი გააღე“, — შემომესმა საოცრად ნაცნობი, ხავერდოვანი ტემბრის ხმა. „ღმერთო, როგორი ნაცნობი ხმაა, რა ახლობელი, ალერსიანი“. ნელ-ნელა გავახილე თვალი და რას ვხედავ: ჩემს წინ ჩემი ყოფილი მკურნალი, ჩვენი საყვარელი ნინო ექიმი დგას. საკმაოდ შეცვლილა, თმა შევერცხლია, დასრულებულა, მაგრამ ეს ღიმილი, ეს ტკბილი, მშობლიური ღიმილი კვლავ გადაშლია მთელს სახეზე, როგორც მაშინ, ამ ოცდაათი წლის წინათ, განკურნებულს და საღსალამათს რომ მისტუმრებდა ჰოსპიტლის კარიბჭიდან. ახლაც უებარი მალამოსავით დაედო ჩემს სატკივარს ნინო ექიმის მადლიანი ხელი და ოცი წუთის შემდეგ მე და ის მეგობრულად ვსაუბრობდით.

ნ. ლომჯარია

**ვალენტინა ტატიშვილი**

# პატარა მებაღეები

ჭი-ი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი! ჭი-ი-ი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი! — ჩაესმა ძილში გიორგის. ძილმღვიძარე თვალებს ჯერ ვერ ახელს, ბურანშია და ვერ გაუგია სად არის. წი-ი-უ! წი-ი-უ! — ახლა მეორე ჩიტმა დაიძახა გაკაპასებულივით. გიორგიმ თვალები დაჭყიტა, გაახსენდა, რომ სოფელშია (წუხელის გვიან ამოვიდნენ ქალაქიდან და მაშინვე ლოგინში შეაწვინეს). მერე ლოგინში წამოჯდა, გვერდზე გაიხედა — პატარა ძამიკოს ტკბილად სძინავს, პირში მაწოვარა აქვს გამოჩრილი; დედასაც სძინავს, მამასაც. დააყურა, იქნებ მეორე ოთახიდან დიდედას ან პაპას ხმა გავიგონოო, მაგრამ არც იქიდან ისმოდა ჩამიჩუმი. მაიკოსთანაც სიჩუმეა. მაიკო ბიძაშვილია გიორგისა. ზაფხულში ერთად შეიყრებიან ხოლმე ყველანი.

ეტყობა, ძალიან ადრეაო, გაიფიქრა ბიჭმა, სკამზე დაწყობილ ტანსაცმელს გადასწვდა, ჩუმად ჩაიცვა და ოთახიდან გამოვიდა, ფეხისწვერებზე შემდგარმა გაიარა აივანი და კიბეზე დაეშვა.

ეზო ჭრელი ხალიჩასავით ლამაზია. ხასხასა კონდარში სხვადასხვა ფერის ყვავილებია გაბნეული: ლურჯი იები, დედოფლისთითა, ზანზალაკებიანი მაჩიტა, დელხაამის ქოჩორა ყვავილები, ზამბახის ნაბოლარა, შუბლისწვერივით კოკრები, ყვითლები — კრაზანა, ქრისტესისხლა, ყვავისფრჩხილა, ყანის ბირკა, მზიურა, ბაია, მარწყვაბალახა. ამ ყვითელ ყვავილებში თითო-თითო ნაგვიანევ ყაყაჩოს წამოუყვია თავი და ღუიან წითლად.

ეზოს გარშემო ვარდებია ჩამწკრივებული: წითელი, ვარდისფერი, ყვითელი, თეთრი, სტაფილოსფერი. ვარდების წინ გულყვითელა, ნაირფერი დანდურა, ალისფერი სალბი, სხვადასხვა ფერის ლევკოინი, ზაფრანის და ბალბის ნაირ-ნაირი ჯიშები...

დამწყვდეულ ლეკვს რომ გამოუშვებენ გარეთ და უცებ მოირბენს ყველაფერს, ისე შემოირბინა ბიჭმა ყოველი კუნჭული: ფარდულში შეიხედა — თოხ-ნიჩაბი შეათვალიერა, საქათმის კარი გამოაღო და გამოცვივდნენ კრიახ-კრიახით ქათმები. ჭიშკართან ჩაირბინა, მეზობლის ბავშვები ჯერ არსად ჩანდნენ და ისევ ზემოთ ამოვიდა, სილაში დაიწყო გვირაბების გაყვანა.

მალე კარი აჭრიალდა და კიბეზე ბაკი-ბუკი გაისმა. პატარა მაიკო ჩამოდიოდა ფრთხილად. ორწლინახევრისაა პუტკუნა მაია, ოქროსფერკიკინებიანი, თეთრი, თაფლისფერთვალება.

— გოგა-ა! — ეძახის გიორგის.

— მოდი, მაკო, მოდი! — გასძახა გიორგიმ, წამოხტა და ბოლო საფეხურებზე ხელი შეაშველა.

— სილასი ვითამასოთ, ჰო, გოგა? — ეკითხება მაიკო და თვალებში შესცქერის. წამხედურაა, სულ გიორგის დასდევს კუდში და ყველაფერში ბაძავს. სილაში თამაში ძალიან უყვართ ორივეს. მაიკო ჩაცუცქდა და ნამცხვრების გამოცხობა დაიწყო ქვიშისგან. გიორგი ისევ თავის გვირაბს მიუბრუნდა. ერთხანს ითამაშეს ასე, მერე კი ჩაის დასალევად დაუძახეს.

მაგიდას რომ უსხდნენ, ეზოში დედალი აკაკანდა, დიდედამ ეზოში გაიხედა და თქვა:

— რა ვქნა, ეს ჭრელი დედალი, აგერ სამი კვირა იქნება, ასე კაკანებს, მაგის დადებული კვერცხი კი ვერსად ვნახე.

— იქნებ ტყუილად კაკანებს? — იკითხა გიორგიმ.

— კვერცხი რომ არ დაედო, ასე არ იკაკანებდა.

სწორედ ამ დროს ზურიკოს ძახილი მოესმა და ეზოში გავარდა. ბიჭებმა ერთმანეთი მოიკითხეს და ბაღში ჩავიდნენ.

ბაღში ბაიას ჯიშის ნაირფერი პაწაწინა ყვავილები გადაბარდულიყო ერთმანეთში: იისფერი, ყვითელი, იასამნისფერი, თეთრი.

ბილიკის პირას ბაღის გვირილები და მაღალყლორტება ყვითელი ასფურცელები ჩამწკრივებულა ღობის ძირებში: ხარისკუდა, ზღარბივით ეკლიანი ბურთები, ოროვანდის გაშლილი მწვანე ქოლგები.

— ნახე, ჩემს ბალს რამდენი ასხია! — ამბობს გიორგი.

— მალე დამწიფდება. — შეათვალიერა ბლის ხე ზურიკომ და ოდნავ შევარდისფერებული კუნწულა მოწყვიტა.

— ეს ბელურები, ბიჭო, დამწიფებას აღარ აცლიან.

— მაშა, ჩვენი ბალიც სულ დაკენკილია!

— ეს ნორჩი ატმები შარშან მივურგეთ ბებერ ატმებს.

— შეხე, ბიჭო, მსხალს რამდენი ასხია! — შესძახა ზურამ.

— კალოს მსხალია, ვაშლებსაც კარგად ასხია. რომ დამსხვილდება ეს ნაგალა სულ მიწაზე გაწვება.

— ჰო, შარშანაც ასე არ იყო? გახსოვს ეს ნაგალა სულ მე და შენ დავკრიფეთ.

— როგორ არ მახსოვს, დიდი გოდორი გაივსო და კიდევ დარჩა. ახლა შავი ქლიავის ხესთან მივიდნენ ბიჭები.

— ეს ქლიავი ალუჩა გვეგონა, და შავი ქლიავი არ მოისხა! ისე გაუხარდა დიდედას! — ამბობს გიორგი.

— ჩვენც გვიდგას შავი ქლიავი.

— ვიცი. ჯერაც არ მიჭამია, აი!

— ამ კაკალმა ნიშანი გამოიღო? — ეკითხება ზურა.

— კირკიტი გამოდგა, ბიჭო. როგორ ველოდით მაგის გაზრდას და ახლა უნდა მოვჭრათ, კირკიტი კაკალი რათ გვინდა. ღოღნოშოს ხედავ? ხომ ასე დახუნძლულია, სანამ დამწიფდება, ნახევარი დასცვივა.

— რათა?

— რათა და, კარგა დიდი იყო, რომ გადმოვრგეთ, თურმე რაც უფრო პატარაა ნერგი, უფრო ჩქარა იზრდება და ფესვსაც უფრო მალე იმაგრებს. თანაც ორჯერ დასეტყვა.

ასე, საუბრით ჩამოუარეს ბაღს პატარა მებაღეებმა. ღობის ძირებში ალუბლები შეათვალიერეს, ჭერმებსაც აჰხედ-დაჰხედეს, ხურტკმელის ბუჩქებიც გასწი-გამოსწიეს, თითებიც დაიჩხვლიტეს ეკლებზე; დაბალი, ტყრუშული ღობით შემოღობილ მარწყვნარში გადაიხედეს და მწიფე მარწყვს წაატანეს ხელი. ჟოლოს ბუჩქებს შემოუარეს. ბოლოს მთელი ბაღი რომ დაათვალიერეს, ზურამ უთხრა:

— წამო, ახლა ჩვენსა გადავიდეთ.

— მოიცა, ჯერ დედას ვუთხრა.

ზურას ეზოში გასასვლელად კუტი კარია ღობეში დატანებული.

— დედა-ა! ზურასთან გადავალ რა? — იძახის გიორგი.

— წადი, ოღონდ, დაგიძახებ თუ არა, მაშინვე ხმა გამაგონე.

— კარგი-ი-ი.

და გარბიან ბიჭები, მაგრამ მაიკომ დაინახა და გამოეკიდა.

— მეც წავალ, მეც წავალ — იძახის მაიკო. მობრუნდა გულშემოყრილი გიორგი:

— დედა, მოგვაშორე რა-ა!

— მაკო, მოდი, დედა, გოგა სკოლაში მიდის, ხომ იცი, მასწავლებელი გაუჯავრდება.

— სკოლასი?

და მობრუნდა მაიკო. ერთადერთი ხსნა ეს არის — როცა გიორგის მეზობლის ბავშვებთან წასვლა უნდა, მაიკო რომ არ აეტორღიალოს, სკოლაში მივდივარო, ეუბნება და სჯერა პატარას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნელი კანდელაკი

გატაცება, იმპულსურობა, მჩქეფარე ოპტიმიზმი, ენერგია და სიყვარული ყოველი ცხოვრებისეული მოვლენისადმი — აი ნელი კანდელაკის შემოქმედებითი თვისებები. იგი თამამად იჭრება გარემომცველ სამყაროში. უყვარს მოგზაურობა, ნახვა, აღქმა და შრომა..

თბილისის სამხატვრო აკადემია 1958 წელს დაამთავრა ლიტერატურისადმი დიდმა სიყვარულმა სწორედ იმ წლებში შეაქმნევინა ქართველ მწერალთა პორტრეტები. ტიციან ტაბიძე, ირაკლი აბაშიძე, ლეო ქიაჩელი, გიორგი ლეონიძე იოსებ გრიშაშვილი, — აი პორტრეტები, რომლებიც გვიჩვენებს მხატვარი ქალის თავისებურ საკმაოდ მკაცრ ხელწერას: ყავისფერი, რუხი და მოწითალო ფერთა ხშული გამა, სახისა და ხელების სკრუპულოზურად გულმოდგინე დამუშავება... და, ხასიათთა წარმოჩინება: გალაკტიონ ტაბიძე ღრმად მოაზროვნეა, ლეო ქიაჩელი — საკუთარ ფიქრებს მიცემული, ალუბლისფერ ფონზე მკვეთრად იკვეთება ირაკლი აბაშიძის ნებისყოფიანი სახე. მამის პორტრეტში საზეიმო მონუმენტურობით ჟღერს მონაცრისფრო-მოშავო გამა. ლაკონურია ყავისფერ ტონთა ნიუანსებით შესრულებული დედის პორტრეტი. მაგრამ, ამ საინტერესო პორტრეტებში, ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი მხატვრის ჭეშმარიტი თვისება, მისი დინამიზმი, ექსპრესიულობა მისი ინტერესი ახალგაზრდობისადმი, თანატოლებისადმი, სამშობლოს ყოველ კუთხეში რომ აშენებენ, ჰქმნიან, ილვწიან..

და იწყება მოგზაურობა საქართველოს რაიონებში 1965 წელს. ნელი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საგზურით, ენგურჰესის მშენებლობაზე ჩავიდა მშენებლობის რიტმი, შრომის ჰეროიკა, აღაფრთოვანებს მხატვარ ქალს იქმნება მრავალი პორტრეტული ჩანახატი, ტილოზე ვლინდება ენგურჰესის მშენებლობის მნიშვნელოვანი ეტაპები: „ენგურჰესის გვირაბის გაყვანა“ „საბაგირო გზის კატარება ენგურზე“ და მრავალი სხვა 1966 წელს ნელი კანდელაკი მეუღლესთან (მხატვარი გ. კეშელავა) ერთად მთიან სასაზღვრო ზონაში მიდის საქართველოს მიწის სილამაზე, მისი განუმეორებელი ფერები ახლებურად ავსებს მათს პალიტრას: კოლორიტი თანდათან იწმინდება, ჩნდება მწვანე ფერი, სითბო ემატება ყავისფერს, ციმციმებს ცისფერი, ცხოვრება უფრო მძლავრად იჭრება ნელის ტილოებზე, გამომსახველობითი სისტემაც ერთგვარად იცვლება.

მხატვარი ქალის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში კუბაში მოგზაურობამ ერთგვარად გარდამტეხი მომენტი შეიტანა: 1967 წელს იგი შემოქმედებითი მივლინებით გაუდგა ამ შორეულ გზას. კაშკაშა, ზღვის ფერები, ცის მოელვარე ლივლივი ხელს უწყობს მხატვარს ახლებურად აღიქვას სამყარო („ოკეანე ილუმინატორის სარკმლიდან“ ნატურმორტი — „ანანასი და ბანანები“) ახლა პალიტრა თითქმის მთელი ხმით ჟღერს. „კუბაში“, „ჰავანას სანაპირო“, „რევოლუციის მუზეუმი ჰავანაში“ „ჰემინგუეის სახლი ჰავანაში“ — აი, წკრიალა ფერებით ძლიერ დატვირთული ნაწარმოებები: მწვანისა და ცისფერის შენივთება, ყვითლისა და წითლის შერწყმა თითქოს ეგზოტიკური ბუნების რეალურ მშვენიერებას ჰქმნის. პოეტ ნ. გილიენისა და მხატვრების მ. პიეროს და კ. გონზალესის პორტრეტები, „კუბელი დოკერები“ „კუბელი გოგონა“ „ქალიშვილი და ფორთოხლები“ ისე სისხლსავსეა, ისე მაჟორული, რომ სიყვარულით გავსებს ამ ადამიანებისადმი. ეს ნაწარმოებები დამთვალიერებლებმა იხილეს გამოფენაზე — „კუბა მხატვრის თვალით“

ნელი კანდელაკი თანამედროვეობას შეუნელებელი ინტერესით უყურებს. მის მიერ შექმნილი პორტრეტთა გალერეა („ექიმი ვ. ხურციძე“ „ექიმი მერი ჯაფარიძე“, „გ. ჩარკვიანი“ „ტელევიზიის დიქტორი ჟ. არჩვაძე“ „ლ იზმაილოვა“ და „ც. ჩიხლაძე“) მდიდარია ფერების გამით. ინტენსიური ცისფერის და წითლის კაბედული შერჩევით: იასამნისფერი შერეულია მწვანესთან და ყვითელთან. წითელი—თეთრთან ასე მაჟორულად ჟღერს ის ნამუშევრები.

წლეულს ნელი კანდელაკმა მეგობრობის სახლში პერსონალური გამოფენა მოაწყო და ამ გამოფენამ გვიჩვენა, რაოდენ ნაყოფიერად მუშაობს ის წლების მანძილზე.

ლიდია ზლატკევიჩი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გალაკტიონ ტაბიძე



ლიდა იზმაილოვა

ლეილა თეთრაძე



მანანა ტყეშელაშვილი



ჰემინგუეის სახლი





მერი ჭაფარიძე



კუბური ნატურმორტი



პარიზის კაფე



ოთარაანთ ქვრივი — ი. ჭავჭავაძე — „ოთარაანთ ქვრივი“.

იოკასტე — „ოიდიპის მეფე“



# შემოქმედის გზა

30-იან წლებში მოვიდა ქართულ თეატრში თამარ ბაქრაძე.

სანდრო ახმეტელის მოწაფე. მისი სტუდიელი იყო.

კარგად მახსოვს — ამბობს თამარი. — როდესაც სანდრო ახმეტელი გამოჩნდებოდა ხოლმე სარეპეტიციო დარბაზში. მას მოჰქონდა შემოქმედებითი ქარცეცხლი. ეპოქის ახლებური ხედვა და სწორედ ამან განაპირობა თეატრის ახლებური მაჯისცემაც. თავდავიწყებით უყვარდა და თაყვანს სცემდა შექსპირს. მაგრამ სულ შიშობდა. ვაი თუ არ გამომივიდესო და მისი პიესების დადგმა არ დასცალდა. ისე წავიდა თეატრიდან. აუხდენელ ოცნებად დარჩა „ჰამლეტი“. „ოტელო“. „იულიუს კეისარი“...

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თამარ ბაქრაძე დიდად ბედნიერია. რომ ამ დიდი ხელოვანის შემოქმედებას ეზიარა. რომ დიდმა რეჟისორმა დაულოცა სამსახიობო გზა.

სულ 50-მდე როლი განასახიერა თამარმა თეატრში.

პირველი სპექტაკლი — „ანზორი“.

პირველი როლი — „ხალილე“.

გადავხედოთ იმ წლების პრესას:

სინაზითა და ლირიზმით გამოირჩეოდა თამარ ბაქრაძის ლიდა კოვალი „პლატონ კრეჩეტში“ და ემილია „ოტელოში“. იაგოსადმი ბრმა მორჩილება. დეზდემონასადმი თავდადება და ერთგულება იყო ის. რითაც ასე ხიბლავდა მაყურებელს. და რა თავისებური იყო იგი კარლო კალაძის „ერთი ღამის კომედიაში“ (რეჟისორი დ. ალექსიძე). მისი სულიკო ორიგინალური. სცენურად დახვეწილი სახეა. მსახიობს კარგი დიქცია ჰქონდა. ყველა სცენაში ზომიერი და უშუალო იყო.

სიმართლისათვის. პროგრესისათვის მებრძოლი კარლ მოორის თავდავიწყებით მოტრფიალე. ბოლომდე მისი ერთგული — ასეთია ამალია-თამარ ბაქრაძე შილერის „ყაჩაღებში“.

დიდ შემოქმედებითს გამარჯვებას მიაღწია მსახიობმა ი. პოპოვის „ოჯახში“. ამ სპექტაკლში მან შექმნა ლენინის დედის დაუვიწყარი სახე. თამარს ესმოდა. რომ ეს ძნელი ამოცანა იყო და ბევრი ფიქრის. ბევრი ძიების შემდეგ მაყურებელს თვალწინ წარმოუდგა დედა სასახელო შვილებისა. დედა — მოსიყვარულე მშობელი. დედა. რომელსაც ღრმად ესმის შვილების გულისნადები და სწამს მათი. დედა. რომლის ნებისყოფა ვერ გატეხა პოლიციამ. დედა. რომელმაც კარგად იცის. რომ მისი შვილები დიდ გზას დაადგნენ და მათ უნდა გაუძლონ. ბოლომდე გაუძლონ მათ და დაულოცოს ეს ძნელი გზა. სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო დიდი ბელადის მშობელი.

ლოპე დე ვეგას „სხვისთვის სულელი. თავისთვის ჭკვიანი“... მაყურებლის წინ წარდგა გულმოდგინებით დამუშავებული პლასტიკის მქონე მსახიობი ქალი. რომელიც გაბედულად ჩაება თამარ ჭავჭავაძის დიანასთან „ორთაჭიდილში“. თამარ ბაქრაძე — თეოდორა ამპარტავანი. მძვინვარე. არისტოკრატიულად ქედმაღალი და ქარაფშუტაა.

დიდი წარმატება ხვდა შ. ღლაბაძის სპექტაკლს — „პლატონ კრეჩეტს“. რომელშიც თამარ ბაქრაძე ახალგაზრდა არქიტექტორ ლიდას როლს ასრულებდა. შექმნა საქმიანი. პრინციპული. ამავე დროს ნაზი გულის ქალის სახე.

ჭეშმარიტი ხელოვანისთვის არ არსებობს დიდი და პატარა როლები. თამარ ბაქრაძეს თითოეულ სახეზე თანაბარი სიყვარულითა და მონდომებით უმუშავნია. მრავალნაირი ხასიათის გმირები შეხვედრია. ყოველი მათგანის თვისებებს თავისად იხდიდა. ორგანულად განიცდიდა თავისი გმირის სიხარულს. ტკივილს. ბედნიერებასა თუ უბედობას. ასეთები იყვნენ მისი ზეინაბი — „ღალატში“. კრუჩინინა — „უდანაშაულო დამნაშავენში“. იოკასტე — „ოიდიპის მეფეში“. დედა — „არაგველებში“. მარინე — „ფოლადაურში“. კლარიჩე — „ორი ბატონის მსახურში“. ამალია — „ყაჩაღებში“. სულიკო — „ერთი ღამის კომედიაში“. ნინო — „მარად მწვანე ქედებში“. სალომე ჭავჭავაძე — „ბარათაშვილში“. ოთარაანთ ქვრივი — „ოთარაანთ ქვრივში“. ელენე — „სულელში“ და მრავალი სხვა.

თამარ ბაქრაძეს სანუკვარ ოცნებად დარჩა როლები. რომელთა ხორცშესხმაც ჩაფიქრებული ჰქონდა...

ამჟამად ქალბატონი თამარი ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი. რეჟისორი გახლავთ. ცნობილ რეჟისორებთან გ. ტოვსტონოგოვთან და დ. ალექსიძესთან მუშაობის გამოცდილება გამოადგა. მსახიობური ოსტატობის საიმედო კადრებს უზრდის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს. მისმა აღზრდილებმა მაია თომაძემ (ეთერი) და ალექსანდრე ხომერიკმა (აბესალომი) წარმატებით შეასრულეს ახლახან ეს რთული პარტიები და კარგი სცენური სახეები შექმნეს ჩვენი განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე.

თამარ ბაქრაძე მხატვრული კითხვის უბადლო ოსტატია. მისი შესანიშნავი ტემბრის ხმას. შერწყმულს სცენურ უდავო ნიჭთან. ბევრჯერ მოუხიბლავს მრავალათასიანი მსმენელი.

სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილით. ახლის ძიებით შეეგება თამარ ბაქრაძე თავისი დაბადების 70-ე წლისთავს. დიდხანს სიცოცხლეს. შემოქმედებითს წარმატებებს ვისურვებთ. ძვირფასო თამარ!

ნანული ბუკია

# მეგობარი თანამოაზრე



## რეჟისორი ევგენია ზოლოტოვა

უკრაინაში ქართული კულტურა მუდამ პოპულარული იყო. რესპუბლიკის თეატრების სცენაზე დღესაც იდგმება „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს", „სანამ ურემი გადაბრუნდება", „ხანუმა", „სიმღერა ლესია უკრაინკაზე", „ჭინჭრაქა" და სხვა პიესები. უკრაინაში ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი პოპულარიზატორი ქალაქ ჩერნოვიცის ო. კობილანსკაიას სახელობის მუსიკალურ-დრამატული თეატრის რეჟისორი ევგენია ბორისის ასული ზოლოტოვაა.

ევგენია ზოლოტოვა უკრაინაში კარგად ცნობილი ხელოვანია. ივ. კარპენკოკარის სახელობის კიევის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, იგი სამუშაოდ თვალწარმტაც, ზღაპრულ მხარეში — ბუკოვინაში გაამწესეს. იქ, ქალაქ ჩერნოვიცის თეატრში დაიწყო თავისი რეჟისორული მოღვაწეობა. მოკლე დროში ახალგაზრდა ქალმა თავისი საქმისადმი თავდადებითა და ნიჭიერებით კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. მის დადგმებს „ძუ მგელი", „რეკენ ზარები", „კარპატული ლეგენდა", „სოროჩინის ბაზრობა", „მაისის ღამე" მაყურებელთა და პრესის საუკეთესო შეფასება ხვდა წილად, ხოლო მის მიერ განხორციელებულმა სპექტაკლმა: „დედილო კურაჟმა" რესპუბლიკური პრემია მოიპოვა.

ევგენია ზოლოტოვა საქართველოში არასოდეს ყოფილა, მაგრამ რუსთაველის ქვეყნისადმი მუდამ დიდი ინტერესი ჰქონდა, ბევრს კითხულობდა მისი ისტორიის შესახებ, ეცნობოდა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის ინსცენირებაში რეჟისორის ყურადღება მიიპყრო ქართველი კაცის სიბრძნემ და კეთილშობილებამ, მშობლიური მიწისადმი განუზომელმა სიყვარულმა და სიკეთემ, ტრაგიზმისა და ჰუმორის საოცრად ორგანულმა შერწყმამ.

ევგენია ზოლოტოვას მიერ 1970 წელს განხორციელებული დადგმა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" საბჭოთა სახელმწიფოს დაარსების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა. რესპუბლიკურ დათვალიერებაზე ამ დადგმამ პირველი პრემია და დიპლომი მიიღო. როგორც „რაბოჩაია გაზეტას" რეცენზენტი ი. კისელევი წერდა, „ჩერნოვიცში დიდი ტაქტით დადგეს პოპულარული ქართული კომედია, რომელიც ჩვენი ქვეყნის მრავალი თეატრის სცენაზე იდგმება. აქ, რასაკვირველია, ცდილობდნენ ეჩვენებინათ მოქმედების ადგილის თავისებურება (ნათელი ხატოვანი გაფორმება ი. სეჩკარისა), ადამიანთა ხასიათები, კოლორიტი, ჰუმორი, ინტონაციური და პლასტიკური თავისებურება. რეჟისორი ევგ. ზოლოტოვა ცდილობდა გარეგნულ თავისებურებებს არ დაეჩრდილა ნაწარმოების არსი, რაც თავისი ჩანაფიქრით უაღრესად კეთილშობილია: მასში ლაპარაკია სიკეთის გამარჯვებაზე"...

კარგი შეფასება მისცა სპექტაკლსა და რეჟისორის ნამუშევარს რესპუბლიკურმა გაზეთმა „კულტურა ი ჟიტიამ" („კულტურა და ცხოვრება"). რეცენზენტი ხაზს უსვამდა სპექტაკლში რეჟისორის მიერ მონახულ სწორ ჟღერადობას, აღნიშნავდა, რომ დადგმამ მაყურებელს აღუძრა უღრმესი სიმპათია „ოქროს გულის პატრონი" უბრალო, მშრომელი ქართველი გლეხებისადმი, რომელთა როლებსაც ჭეშმარიტი გატაცებითა და მღელვარებით ახორციელებენ უკრაინის სსრ სახალხო არტისტები: გ. იანუშევიჩი (ბებია), პ. მიხნევიჩი (ილარიონი), უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ი. კოზაკოვსკი (ილიკო) და ახალგაზრდა მსახიობი ვ. შეპტეკიტა (ზურიკელა)...

თეატრის მთავარი რეჟისორი ვ. გრიპაში აღნიშნავდა, რომ სპექტაკლის წარმატების საწინდარი ის გახდა, რომ რეჟისორმა დააინტერესა მსახიობები, თავის თანამოაზრეებად გაიხადა ისინი. სპექტაკლის შემქმნელებისათვის მთავარი გახდა ქართული ეროვნული კოლორიტი და, ამასთან, ადამიანთა ხასიათები, მათი ურთიერთდამოკიდებულება, სულიერი კეთილშობილება და სილამაზე. გაზეთი „პრავდა" ხაზს უსვამდა, რომ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" დადგმა ჩერნოვიცის თეატრის დიდი გამარჯვებაა, რომ სპექტაკლი აქტიორული ანსამბლით, ჭეშმარიტი ჰუმორითა და სინატიფით გამოირჩევა. პირველი ქართული დადგმის წარმატებამ წაახალისა რეჟისორი ქალი, უფრო მეტი ინტერესი გაუღვიძა ქართული დრამატურგიისადმი. მან კიდევ ერთი ქართული ნაწარმოები აირჩია, ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ა. ცაგარლის „ხანუმა“, რომელიც გადმოკეთდა და „ქორწილი თბილისში“ ეწოდა.

სპექტაკლზე რეჟისორი დიდი მონდომებით, გულდასმით მუშაობდა. მან დახმარებისათვის, რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტთან არსებულ ინტერნაციონალური აღზრდისა და თეატრალურ ურთიერთობათა კაბინეტს მომართა: თბილისში მოავლინეს უკრაინის სსრ დამახურებული მხატვარი ვ. ლასანი, რომელსაც კონსულტაცია გაეწია და აი, ძველი თბილისის უაღრესად ფერადოვანი, თვალისმომჭრელი პეიზაჟების ფონზე უკრაინულად ამეტყველდნენ ცაგარლის გმირები, გაისმა კომპოზიტორ გია ყანჩელის მუსიკის ჰანგები, ბაზრის ფუსფუსში აცეკვდნენ თბილისელი კინტოები (ქორეოგრაფი ვ. მოროდენსკი)... რეჟისურამ და მსახიობთა ანსამბლმა ძირითადად დაძლიეს სიძნელეები. სპექტაკლი გხიბლავთ ცოცხალი ჰუმორით, თავისებური რიტმით, ფერადოვნებით. სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტის ნ. ფიალკოს ხანუმამ, მ. ბელიაევის აკოფამ, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტის ო. რუდნიცკაიას ქაბატომ, ა. შერემიოტის სონამ, ა. ბორტნიკის კოტემ და სხვებმა.

რასაკვირველია, როგორც ერთ, ისე მეორე სპექტაკლს ჰქონდა ნაკლი, მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს ის მონდომება, პასუხისმგებლობის გრძნობა, რომლითაც თეატრის კოლექტივი და, უპირველესად რეჟისორი ევგენია ზოლოტოვა მიუდგა პიესის დადგმას. უცხო ცხოვრების, ყოფის, ზნე-ჩვეულებათა გადმოცემა უთუოდ ძნელი საქმეა, ბევრი ხელოვანი გაურბის ამ რისკს. მაგრამ არიან ისეთნიც, რომელთაც იზიდავს სხვა ხალხის ისტორია, კულტურა, ტრადიციები, ვინც ცდილობს საკუთარი ეროვნული კულტურა გაამდიდროს მოძმე ხალხთა მიღწევებით, გააცნოს თანამემამულეებს მისი წარსული, აწმყო. ამ მხრივ, კეთილსა და სასარგებლო საქმეს აკეთებს რეჟისორი ევგენია ზოლოტოვა, როგორც უკრაინაში ქართული კულტურის მგზნებარე პოპულარიზატორი. ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებისადმი მისი ინტერესი დღითიდღე იზრდება. ამჟამად იგი ეცნობა ა. ჩხაიძის და გ. ხუხაშვილის პიესებს, ფიქრობს ახალ დადგმებზე, რომელთა შორის ქართული თემატიკა თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერს. სულ ახლახან შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრალურ ურთიერთობათა კაბინეტს ევგ. ზოლოტოვამ გამოუგზავნა მასალები თავისი დადგმების შესახებ. აქვეა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ დადგმის მაკეტიც...

შემოქმედებითი თანამეგობრობა გრძელდება. სასიხარულოა, რომ ევგენია ზოლოტოვას სახით უკრაინაში ქართულ კულტურას, ქართულ ხელოვნებას გაუჩნდა ასეთი გულწრფელი და მოსიყვარულე მეგობარი და თანამოაზრე, — რომელსაც უყვარს საქართველო და უთუოდ ბევრს გააკეთებს, რათა მეგობრები უმრავლოს ჩვენს ხალხს.

პროფესორი
**ნადია შალუტაშვილი.**



ღმის ექო

# ემა

— ვინ დაგარქვა ეს სახელი! — ჯერ გაგეღიმა, შემდეგ ჩრდილი ჩაგიდგა ლამაზ თვალებში.

— ჩემს სახელს სევდიანი ისტორია აქვს — თქვი ხმადაბლა...

* * *

ხიდის გადაღმა ახოებია შეფენილი და ქვითკირის კოპწია სახლების რიგს კედლად აკრავს.

წყნარი, ახლადთვალახელილი დილა იშმუშნება. ბუხრებიდან ამოწვერილი შავი ბოლი ცისკენ ნელა მიიწევს. სახლის წინ მწვანე მოლი ხასხასებს. ხილით დახუნძლულ ხეებს ტოტები ძირს დაუხრიათ. ეზოში ბავშვები თამაშობენ. ხაკისფერფარაჯიანი ჯარისკაცები გზაზე მწყობრად მოაბიჯებენ. ისინი უწვერულვაშო ყმაწვილები არიან. შემდეგ ფურგონები გამოჩნდა. ქვაფენილზე ცხენების ფლოქვების ხმაშეწყობილი თქარათქური გაისმა. ბავშვებმა თამაში შეწყვიტეს და ღობესთან მიიჭრნენ, ჯარისკაცებს უთვალთვალებდნენ.

ფურგონი შეჩერდა. კაპიტნისსამხრეებიანი მამაკაცი სწრაფად ჩამოხტა, ჭიშკართან მდგომ ხუთი წლის გოგონასთან მივიდა, ბავშვი ხელთ აიყვანა, გულში ჩაიკრა: „ემა, ემოჩკა, ჩემო ძვირფასო!“ „მე ლილი მქვია“ — წყნარად ამბობს პატარა და უკვირს უცნობ ძიას თვალზე ცრემლი რომ ადგას. ძია გოგონას სწრაფად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორდა და ფურგონს შეახტა, თავისი გზით წავიდა.

სამამულო ომის სუსხი იდგა. ცა შორეული ხანძრით იყო განათებული.

გავიდა რამდენიმე დღე და უცნობი კაპიტანი ისევ გამოჩნდა. იგი ახლა ოჯახის დიასახლისთან მივიდა — თქვენი გოგონა ჩემს პატარა ემას ვამსგავსე და მაპატიეთ, შემოვბედე თქვენს ჭერქვეშ შემოჭრა. კაპიტანი დედამ ოჯახში შეიპატიჟა. ხუთი წლის ლილის ხილვა უცნობ სტუმარს მოძალებულ დარდს უქარვებდა. თამარი ხედავდა, რომ ვაჟკაცს სახეზე სხვა უფრო ღრმა, მნიშვნელოვანი ფიქრი აღბეჭდოდა.

ვასია ჟურინი ლევან დავითაძის ოჯახის ხშირი სტუმარი გახდა. დავითაძეების სახლის მახლობლად მაშინ სამხედრო ნაწილი იდგა და ჟურინი თავისუფალ საათებს პატარა ლილისთან ატარებდა. ლევანს, მის ოჯახს გულით შეუყვარდათ ვასია და დამეგობრდნენ. ვასია ზოგჯერ გიტარას აიღებდა ხელში, ჩუმად ღიღინებდა: „უკრაინავ, ჩემო უკრაინავ". მღეროდა ვასია ჟურინი... მას ნაღვლიანი თვალები ჰქონდა და გასაოცარი თბილი გული. სულგანაბული უსმენდა გოგონა და ჯერ ვერ აეხსნა, ასე დარდიანად რად მღეროდა ვასია ძია.

იქ კი, უკრაინაში, მიწა იწვოდა!!

სამამულო ომი დაიწყო თუ არა, ჟურინი ეშელონს გაჰყვა. შინ ფეხმძიმე ნადია და ხუთი წლის ემა დატოვა. გაშმაგებული მტერი წვავდა სოფლებს, ქალაქებს. ნადიამ ამ ქარცეცხლიან დღეებში იმშობიარა, ვაჟიშვილი შეეძინა. გაიხარა დედის გულმა და ეს სიხარული საქართველოში ვასია ჟურინს შეატყობინა, მეუღლეს ვაჟიშვილი ახარა. ახალგაზრდა მხიარული, იმედიანი ნადია მარტო იყო ორი ჩვილის ანაბარა. ომის სიძნელეებს არ უშინდებოდა. სჯეროდა მომავლისა, გამარჯვებისა. ჩვენ კარგადა ვართ, შენ კარგად გვეყოლეო, წერდა იგი ვასიას. ნადიას გულში ღრმა მღელვარება დაგუბებოდა. მტერი ბომბავდა ქალაქებს, სოფლებს. საბჭოთა ჯარი თავგანწირვით იბრძოდა.

საავეჯო ფაბრიკაში სამამულო ომამდე საოჯახო ნივთებს აკეთებდნენ. ომი დაიწყო და ამისათვის ვისღა ეცალა. ხელოსნები დაზგებთან თავდახრილები საქმიანობდნენ. ლევან დავითაძე და ბრიგადის სხვა წევრები დღედაღამეს ასწორებდნენ, ფრონტისათვის თოფის კონდახებს ამზადებდნენ.

ვასიამ ვაჟიშვილის შეძენის სიხარული დავითაძეების ოჯახსაც გაუზიარა. თამარმა და ლევანმა მოილაპარაკეს და ვასიას სთხოვეს, ცოლშვილი ჩვენთან ჩამოიყვანეო, ოთახს დავუთმობთ და ნადიამ ბავშვებით ჩვენს ჭერქვეშ იცხოვროსო. ვასია სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. საოცრად მოეწონა კეთილი ადამიანების სურვილი. ჩამოსვლის თაობაზე ნადიას სასწრაფოდ წერილი მისწერა. პასუხიც მოვიდა:

„ძვირფასო ვასია! როგორა ხარ? მივიღე წერილები. მე, ემა და პატარა ბიჭუნა საჩქაროდ ვემზადებით ჩამოსასვლელად. წამოსვლის დღეს შეგატყობინებ. ნადია".

იმ დილით თამარმა და ლევანმა ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძეს. ოთახი ვასიას ცოლშვილისათვის წესრიგში უნდა მოეყვანათ. რკინის საწოლები გამართეს, მაგიდას უკრაინული, ნაქარგი სუფრა გადააფარეს. თამარმა საგულდაგულოდ შენახული, ვენერას, როლანდის, მედიკოს და ლილის გამზრდელი აკვანი გამოიტანა. — ახლა მეხუთე ბავშვისთვის დაირწევს იგი, ქართულ აკვანში ვასია ჟურინის ვაჟიშვილი გაიზარდოსო.

ვასიამ კარადაში თავისი ხელით ჩაალაგა თეთრეული. დედა და ქალიშვილები გვიან ღამემდე საქმიანობდნენ, ბიჭუნასათვის საწოლი გაამზადეს, შალითას გულისპირი ამოუქარგეს. სტუმრებს ელოდნენ და ყველანი დიდი სიხარულის მოლოდინში იყვნენ. კიდევ რამდენიმე დღე და ამ ფაქიზად მოვლილი ოთახის ბინადარი ვასიას ცოლშვილი გახდებოდა. პატარა ლილიმ მინდვრის ყვავილები დაკრიფა და დედიკოს მიაწოდა მაგიდაზე ლარნაკში ჩააწყეო.

ნადიამ ვასიას ჩამოსვლის დღე აცნობა, — მოვდივართ, თექვსმეტში მანდ ვიქნებითო. მთელი ღამე თეთრად გაათენა ვასიამ. ცოლშვილის ლანდი თან სდევდა, არ ასვენებდა. მის თვალწინ ბორიალობდნენ ფიჭვნარის ხეთა ჩრდილები, ციდან უხვად რომ ეფრქვევოდათ მზის ირიბი შუქი. აქ ჰაერში დენთის სუნი არ ტრიალებდა. ეს ბედნიერება იყო და სურდა, ძალიან სურდა ამ ბედნიერებით ჩქარა ესუნთქათ მის ნადიას, ემას, ბიჭუნას. ვასიამ დაღლილი თვალები ისევ მილულა, იქნებ ჩავთვლიმოო. მის გვერდით მშვიდად ეძინათ ჯარისკაცებს.

დღე მიიწურა. ყველანი ნადიას შესახვედრად გავიდნენ. აქ იყო პატარა ლილიც, ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა. მატარებელი ჩამოდგა. ვასია ვაგონების სარკმლებს თვალს არ აშორებდა, ნადიას შევნიშნავო. ბაქანი ჩამოსული მგზავრებით გაივსო. შემდეგ ყველანი თავიანთი გზით წავიდ-წამოვიდნენ. უკვე დაცარიელდა სადგური, ნადია და ბავშვები კი არსად ჩანდნენ. ლევანი, თამარი და ვასია ლასლასით დაბრუნდნენ შინ.

გავიდა ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე და ნადიას ხმა არსაიდან ისმოდა. ვასია დაიღალა ფიქრით, ლოდინით დაიქანცნენ დავითაძეებიც. „რა მოხდა?" შიშმა შეიპყრო ყველანი. ვასიამ წერილები, დეპეშები გაგზავნა უკრაინაში. პასუხმა დაიგვიანა. შემდეგ სამხედრო ნაწილს წერილი მისწერა და პასუხი მიიღო: მტერმა ქალაქი დაბომბა და ჟურინების ოჯახი დაიღუპაო. დაიღუპაო?... ვასიამ თვალები დახუჭა. გარინდებული, გაქვავებული იდგა იგი. ლევანმა და თამარმა ვასიას სახეზე ყველაფერი ამოიკითხეს, უთქმელად მიხვდნენ სათქმელს. იქვე იდგა ჩაჩუმებული პატარა ლილი.

— ფაშისტმა არამზადებმა დაბომბეს, ნაცარტუტად აქციეს ჩემი სახლკარი, დამეღუპა ცოლშვილი. შურს ვიძიებ. — მძიმედ ამბობდა ვასია. თითქმის მელანშეუშრობელი წერილები, ცოლის წერილები ხელთ ჩაებღუჯა: — ახლახან მივიღე, თითქმის ამ დღეებში...

დავითაძეების ოჯახში დაძაბული დუმილი ჩამოწვა. ჩუმად ტიროდა ვასია ჟურინის განცდებისაგან დაღლილი გული. მებრძოლ კაპიტანს თავისი დიდი საქმე, დიდი მოვალეობა ეკისრა. მათ სამხედრო ნაწილს ფრონტის მოწინავე ხაზზე უნდა გადაენაცვლებინა.

იმ დღეს ლევანთან მიირბინა, პატარა ლილის ეამბორა, ყველას დაემშვიდობა. ლევანს და თამარს სთხოვა: დღეიდან თქვენს პატარა ლილის ჩემი საყვარელი გოგონას — ემას სახელი შეარქვით, დაე, საქართველოს მიწაზე გაიზარდოს ჟურინების გოგონას მაგიერიო. ვასიამ [illegible] ოჯახისათვის განკუთვნილი ოთახის კარის ზღურბლზე ფეხი შედგა, ნაღვლიანი თვალი კოპწია ოთახის კედლებს, კუთხეში მიდგმულ აკვანს მოავლო, თითქოს ჩვილს არწევენო, მზის ათინათი თავზე რომ ადგა და ათასფერადი ცისარტყელები დათამაშობდნენ. მაგიდას უკრაინული სუფრა ეფარა. ლარნაკში მინდვრის ყვავილებს თავი დაეხარათ. ვასიამ სურათების ალბომი მაგიდაზე დადო, — ამით მომიგონეთ, ფრონტიდან თუ დავბრუნდი, ხომ კარგი, თუ არა და ამ სახლში, ამ ოთახში, რასაც ჩემი სახელი ჰქვია, ემას მზითვად გაატანეთო.

ვასია ჟურინი რამდენიმე დღის შემდეგ ფრონტის წინა ხაზზე სვასტიკიან არამზადებთან პირისპირ შესახვედრად გაემგზავრა.

* * *

სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა, რაც სამამულო ომი დამთავრდა. ომის გარეგნული კვალი კარგახანია წაიშალა ჩვენს მიწა-წყალზე.

ლევან დავითაძის ოჯახში მაგიდას ახლაც აფარია უკრაინული ნაქარგი სუფრა. ლარნაკში ფერად-ფერადი მინდვრის ყვავილებია. მაგიდაზე ფერგადასული ალბომი დევს, ალბომის თავფურცელს თარიღი აქვს: 19.8.41. თარიღს ქვემოთ კაპიტნის სურათია. ფრენჩი აცვია, ოდნავ მელოტია, თხელი თმა აქვს და თაფლისფერი სევდიანი თვალები. ეს ვასია ჟურინია. უკვე ჩაყვითლდა ვასიას, მისი ოჯახის წევრების, მეგობრების, შავთავსაფრიანი დედის ფოტოსურათები. მაგრამ დროთა სვლამ ფერი არ შეუცვალა ნამდვილ სიყვარულს, მეგობრობას. დავითაძეების ოჯახში ვასია ჟურინის არდავიწყების სიმბოლოდ იქცა მათი ქალიშვილის სახელი „ემა".

ემა ახლა ბორჯომში ცხოვრობს მეუღლესთან, ქალ-ვაჟთან ერთად. უკვე არავის ახსოვს, რომ თავდაპირველად ლილის ეძახდნენ, და რომ რახანია, ვასია ჟურინის თხოვნით, მას ემა შეარქვეს. ვასია ჟურინი ფრონტიდან არ დაბრუნებულა. ლევანმა წერილი მისწერა სამხედრო ნაწილს. უპასუხეს: გმირული სიკვდილით დაეცა კაპიტანი ვასილ ჟურინიო.

ემა ჯანდაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს ბორჯომ-ლიკანის სანატორიუმის სამკურნალო კლინიკის უფროსი ექთანია, საქმისათვის თავდადებული, სპეტაკი მუშაკი. გულთბილი, მოსიყვარულე მედდა უყვართ ავადმყოფებს, დამსვენებლებს. იგი ერთნაირად მზრუნველობს მოლდაველს თუ ბელორუსს, ქართველსა თუ უკრაინელს, ყველას, ვისაც სატკივარი აქვს, ვისაც მისი ზრუნვა სჭირდება. ემა ყველა უკრაინელში ვასია ჟურინს ხედავს, მათი ოჯახის ერთგულ მეგობარს.

ყოველ 9 მაისს, გამარჯვების დღეს, ლევან დავითაძე თავის ოჯახში პირველად ვასია ჟურინის სადღეგრძელოს წარმოთქვამს. გულისტკივილით იგონებენ უკრაინელ ძმას, შინმოუსვლელ ვაჟკაცს, რომლის ოჯახი სამამულო ომში დაიფერფლა.

...შემოდგომის ნელი სიო ქროდა. ფიჭვის ტოტები წელში ოდნავ იზნიქებოდნენ და ისევ სწორდებოდნენ. მზე კიაფობდა და სხივთა კონა სახლის ფანჯრებს ირიბად ეცემოდა. მაგიდასთან ემა იჯდა და ვინ მოთვლის მერამდენედ ფურცლავდა ვასია ძიას სახსოვარს.

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძმების მხარდამხარ



სამამულო ომი რომ დაიწყო, თამარის ძმები იროდიონი, მიხეილი და დავითი ფრონტზე წავიდნენ. ცხრამეტი წლის თამარ შარაშიძე ძმებს არ ჩამორჩა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. პირველად სამედიცინო-სანიტარულ ათასეულში მოხვდა, რომელიც გორში ჩამოყალიბდა. ათასეულმა ირანში გადაინაცვლა. აქედან კი ახალგაზრდა მედდა 51-ე არმიის 117-ე საველე ჰოსპიტალში გადაიყვანეს ქირურგის უფროს თანაშემწედ.

51-ე არმია მაშინ წყალტუბოში იმყოფებოდა და ფრონტზე გასამგზავრებლად ემზადებოდა. მალე ყირიმისაკენ დაიძრნენ. თამართან ერთად იყვნენ ქართველი ექიმები რევაზ ჩუხრუკიძე, ვალერიან კვერენჩხილაძე და გიორგი ინასარიძე, მედიცინის დები ვერა ბოკერია-კაგრამანოვა და ოლია ბანძელაძე.

51-ე არმიამ პირველი საბრძოლო ნათლობა ქერჩის ნახევარკუნძულზე მიიღო. შეუპოვარი ბრძოლები გაჩაღდა, ქალაქები და დასახლებული პუნქტები ხელიდან ხელში გადადიოდა.

ქერჩის ნახევარკუნძულზე თამარს ორასზე მეტი დაჭრილი დახვდა, მათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება სჭირდებოდათ. განუწყვეტელ ცეცხლში ჰოსპიტლის სამედიცინო პერსონალი რთულ ოპერაციებს აკეთებდა.

1942 წლის მაისში ჰოსპიტლის ძირითადი ნაწილი ზურგში გადმოიყვანეს — ქერჩში დარჩენილები მუშაობას განაგრძობდნენ. როცა მათ დაჭრილები თავშესაფარში გადაჰყავდათ გერმანელებმა ყუმბარები ჩამოყარეს და შვიდი ამხანაგი დაიღუპა.

სამედიცინო პერსონალი ტამანის ნახევარკუნძულისაკენ გაემართა. ქერჩის ყურის გადაცურვა იოლი არ იყო. ამ ორომტრიალში უგზო-უკვლოდ დაიქსაქსნენ. თამართან ოთხი ამხანაგი დარჩა — ზინა გიორგაძე, გოგუცა ბოლქვაძე, ვასო ბენიაიძე და გიორგი ქაშიბაძე. რომ არ დაკარგულიყვნენ, ერთმანეთს ქამრებით გადაებნენ. გემზე ასვლა როგორღაც მოახერხეს და დიდი წვალებით ყურე გადაცურეს. ძლიერ ცეცხლში, რაღაც სასწაულით, ტამანის ნახევარკუნძულს მიაღწიეს. თამარი ჭურვის ნამსხვრევებისაგან მსუბუქად დაიჭრა. მეთევზეთა დახმარებით უმი თევზით დანაყრდნენ. ტანსაცმელი სულ შემოხეოდათ. გადარჩენილებმა ქალაქ თემრუკში ჰოსპიტალი შექმნეს. მათი საბრძოლო გზა სტალინგრადისაკენ გაგრძელდა. მდინარე ვოლგის ნაპირას ე. წ. „სალიონი ნიკოლსკში“ დაბანაკდნენ. ერთ-ერთი დაბომბვისას თამარი მიწაში ცოცხლად დაიმარხა, მაგრამ მიეშველნენ და გადაარჩინეს.

თამარი სტალინგრადის ეპოპეის აქტიური მონაწილეა. ის დაჭრილებსაც კურნავდა და შაშხანითაც იბრძოდა. 1944 წლის მაისში ბალტიისპირეთის ფრონტიდან ეხმაურებოდა და წერილებით ამხნევებდა ომში მყოფ ძმებს.

ძმები დის ბედზე ფიქრობდნენ, და — ძმებისაზე.

ამ დროს მეომართა დედა, ნატალია ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხეში თავდადებით შრომობდა, შინ დარჩენილ სამ შვილს ზრუნვას არ აკლებდა. ბედნიერ დედას ფრონტიდან ოთხივე შვილი დაუბრუნდა.

თამარ შარაშიძე ძმებთან ერთად კვლავ ხალხის სამსახურში ჩადგა. დღეს იგი პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მოღვაწეობს. თბილისში ჩამოსვლისთანავე შეუდგა თამარი დაღუპული მეგობრის ვერა ბოკერია-კაგრამანოვას თხოვნის შესრულებას. თამარს ფრონტელი მეგობრის პატარა პირმშო რობერტი უნდა მოენახულებინა, რომელსაც მამაც ფრონტზე დაეღუპა. რობერტი საცხოვრებლად სხვაგან გადაეყვანათ და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მიაკვლია თამარმა მის კვალს.

დღეს რობერტი ბაქოში ცხოვრობს. იგი ოთხი შვილის მამაა. მასთან ურთიერთობას თამარი დღესაც აგრძელებს.

ლიდა აროშიძე

## ჩვენ გვწერენ



# ხალხის კეთილი მსახური

საჩხერის რაიონის მშრომელებს გულმხურვალედ ემსახურება ნაზი ლაკლაკიშვილი. მისი პროფესია უბრალო, მაგრამ ძალზე საჭირო და პასუხსაგებია — იღებს ფულის ბარათებს, ფასიან წერილებს, ბანდეროლებს, შეკვეთილ კორესპონდენციებს, ამუშავებს მათ და თავისი მისამართით გზავნის. კეთილი სიტყვა, თავაზიანი დამოკიდებულება მოქალაქეებისადმი, დაუზარებლობა და შრომისმოყვარეობა — ყველაფერი ეს განსაზღვრავს იმ დიდ ავტორიტეტს, რომელიც ნაზის მოხვეჭილი აქვს მთელი 20 წლის მანძილზე.

ადრე ის არგვეთისა და გორისის სასოფლო საბჭოების კომუტატორებზე მუშაობდა და სოფლების — არგვეთის, სავანის, მახათაურის, იტავაზის, ცხამის, ბახიოთის, შალაურის, იცქირის, ეთო-ეხვევის, დურევის, გორისისა და გამოღმა არგვეთის მცხოვრებლებს ემსახურებოდა.

კეთილსინდისიერი მუშაობისათვის მას მიღებული აქვს შრომის წითელი დროშის ორდენი, მედლები, „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ სამკერდე ნიშნები, „კომუნისტური შრომის დამკვრელის“ სამკერდე ნიშანი, მადლობები.

ა. ანასაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაღალმთიანი სოფლის მასწავლებელი

თვრამეტი წლის იყო თინა შერეზადაშვილი, ონის პედსასწავლებელი რომ დაამთავრა.

პირველი გაკვეთილი სამუდამოდ აღიბეჭდა მის მეხსიერებაში.

როგორ ღელავდა! ვაითუ კლასი ვერ დავიჭირო, ბავშვებს ვერ აღვუძრა ქართული ენის სიყვარულიო!

რა დაავიწყებს იმ წუთებს, როცა დაფაზე სათუთად დაწერა, „აი ია", სიყვარულით გადახედა თვალებგაბრწყინებულ ბავშვებს და, მოეჩვენა, თითქოს ცქრიალა იებს ამოეყოთ მერხებზე თავი.

საკლასო ოთახში შესვლისას დღესაც ეს გრძნობა ეუფლება. რა ვუყოთ, მერე თუ მერხებზე ბლუჯად ამოსული იები წლითიწლობით მცირდება, ამჟამად კი მათი თითებზე ჩამოთვლა შეიძლება!

დიახ, დღეისათვის ონჭევის დაწყებითი სკოლის პირველ, მეორე და მესამე კლასებში ოთხი მოსწავლე ირიცხება (!), სკოლას კი ერთადერთი მასწავლებელიღა შერჩა. თინა შერეზადაშვილი სამივე კლასის მოსწავლეებისათვის ერთ ოთახში ერთდროულად ატარებს გაკვეთილებს.

რამდენჯერ შესთავაზეს სხვა სოფელში გადასვლა. არა, ონჭევიდან ფეხს არ მოვიცვლი, ასკომლიან სოფელში ისეც ბევრი კარმიდამოა ბალახით დაფარული და სკოლის უქონლობით მათი რიცხვი ერთიორად გაიზრდებაო. ამიტომ არის, რომ დიდი აღფრთოვანებით, სიყვარულით, უსაზღვრო პატივისცემით ამბობენ ონჭეველები, თინა სოფლისა და ჩვენი შვილების ერთგულია და არასოდეს არ მიგვატოვებსო.

იოლი როდია მრავალი წელი მარტოდმარტო იმუშაო სკოლაში, გენატრებოდეს ამხანაგი, კოლეგა, რომელსაც სიხარულსა თუ მწუხარებას გაანდობ. რჩევა-დარიგებას სთხოვ, გამოცდილებას გაუზიარებ.

აგერ უკვე ოცდათორმეტი წელია თინა შერეზადაშვილი მძიმე, მაგრამ ფრიად კეთილშობილურ შრომას ეწევა.

ოცდათორმეტი წელი! პედაგოგიურ სარბიელზე ეს ძალიან დიდი დროა.

სიცოცხლით სავსე, ცქრიალა ქალიშვილი დაქმარშვილდა, გაჭაღარავდა, ყველაზე ძვირფასი დღეები ბავშვების სწავლა-აღზრდას, სკოლას შეალია. ვინ მოსთვლის, რამდენ ასეულ ბავშვს ჩაუნერგა ქართული სიტყვისა და სამშობლოს სიყვარული, თვალი აუხილა, ჩამოაყალიბა, გამოაწრთო.

თინა შერეზადაშვილს არც მეცნიერული ხარისხი აქვს, არც თეორიული ნაშრომები გამოუქვეყნებია სწავლა-აღზრდის საკითხებზე, მაგრამ აქვს საკუთარი პედაგოგიური შეხედულებები, რაც მცირე კონტიგენტიან კლასებში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გამოუმუშავდა.

ასეთ სწავლებას დადებითი მხარეცა აქვს და უარყოფითიც! როცა კლასში ერთი ან ორი მოსწავლეა, მასწავლებელი გამუდმებით ადევნებს ბავშვს თვალყურს, სისტემატურად ამოწმებს საშინაო დავალებას. მოსწავლეს არ შეუძლია გაკვეთილის დაუმზადებლად სკოლაში მისვლა, რადგან იცის, რომ სხვისგან ვერ გადაიწერს, არც მოკარნახე ეყოლება და მხოლოდ თავის ცოდნის იმედი უნდა ჰქონდეს.

უარყოფითი მხარე კი ის არის, რომ მოწაფე ვერ ისმენს ამხანაგის მონათხრობ გაკვეთილს, არ ხდება აზრის ურთიერთ გაზიარება. ბავშვი ვერ ეჩვევა კამათს, რაც აუცილებელია ცოდნის გასაღრმავებლად, განსამტკიცებლად.

თინა შერეზადაშვილის აზრით, მცირე კონტიგენტიან კლასში მასწავლებელი ვერასოდეს ვერ მიაღწევს წარმატებას, თუ დაუფლებული არ არის ყოველი წუთის რაციონალურად გამოყენების ხელოვნებას. პირველი კლასის მოსწავლეს რომ გაკვეთილს უხსნი, მეორე კლასელს წერით სამუშაოს უნდა ასრულებინებდე, მესამე კლასელს კი დაფაზე მაგალითს აყვანინებდე.

ბავშვი ბუნებით მხიარულია, კენტად მერხზე ჯდომა, ეძნელება, მასწავლებელი გამუდმებით რომ ადევნებს თვალყურს. მოწაფე ხანდახან გაკვეთილზე ცქმუტავს, მერხზე ტრიალებს, მაგრამ გვერდით არავინ უზის, რომ რაიმე წასჩურჩულოს, ან მხარში უბიძგოს! ზოგჯერ ასეც ხდება — არაფერზე იცინის, დიახ, დიახ არაფერზე იცინის! ამიტომ არის იგი ბავშვი! რა ქნას, უამისოდ უჭირს გაკვეთილზე ჯდომა, იქანცება; უმძიმს მასწავლებელს გამუდმებით უმზიროს, გულისყურით უსმინოს.

მასწავლებელმა გაკვეთილი ისე უნდა წარმართოს, ბავშვს მოწყენილობა არ დაეუფლოს, ხანდახან კიდეც უნდა გააცინოს, გაამხიარულოს!

თინა შერეზადაშვილის დიდ პედაგოგიურ დამსახურებაზე ლაპარაკობს ის ამბავი, რომ წლების მანძილზე მრავალმა ბავშვმა წარჩინებით დაამთავრა ონჭევის დაწყებითი სკოლა და წარმატებით განაგრძობს სწავლას ონისა და თბილისის სკოლებში. ბევრმა მათგანმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და ახლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მუშაობენ. ზოგი ექიმია, ზოგი ინჟინერი, ზოგიც პარტიული და სამეურნეო მუშაკი.

ზოგი დღესაც სოფელში ცხოვრობს და, ახლა თინა მათ შვილებსაც ასწავლის.

თინა ალალი, პირდაპირი ადამიანია, ამას მისთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს, მაგრამ თანასოფლელების გამოსარჩლება, მათი ლხინისა და ჭირ-ვარამის გაზიარება, სიმართლისათვის ბრძოლა მისი სტიქიაა! ონჭეველებს ულხინთ თუ უჭირთ, მასწავლებელთან მიდიან, მას ანდობენ გულისნადებს, სთხოვენ რჩევა-დარიგებას.

თინა სოფლის უცვლელი აგიტატორია. რა ბევრის მეტყველია ეს! მგონი არც არის საჭირო სოფლის ერთადერთი აგიტატორის მოვალეობასა და საქმიანობაზე ვილაპარაკოთ! სოფლის თითქმის ყველა პოლიტიკურ თუ სამეურნეო ღონისძიებაში თინა შერეზადაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს.

კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება ამ სახელოვან ადამიანზე, მაგრამ განა ერთ წერილში მოახერხებ ყველაფრის აღნუსხვას?

დასასრულს არ შემიძლია თვით თინა შერეზადაშვილის სიტყვები არ მოვიშველიო: — რა გაეწყობა, დრო მიდის, ვბერდები, მაგრამ ვამაყობ იმით, რომ ამაოდ არ მიცხოვრია... და დღესაც, ისევე, როგორც ახალგაზრდობაში, ცხოვრება, შრომა საინტერესოა!.

მშვენიერი ნათქვამია!

დიახ, ქალბატონო თინა, ამაოდ არ გიცხოვრიათ!

ვანო ურჯუმელაშვილი

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# როგორც სარკეში

სიახლეს ადვილად ეჩვევა ადამიანი. გარდაქმნები, რომლებიც ჩვენს თვალწინ ყოველდღიურად ხდება, ჩვენი ცხოვრების ნაწილად იქცევა ხოლმე, კანონზომიერ მოვლენად გვესახება და ამიტომ აღარც გვაოცებს. საკმარისია ეს წარმატებები დავაჯამოთ, თავი ერთად მოვუყაროთ, რომ მათი სიმრავლე და გრანდიოზულობა უფრო ხელშესახები გახდეს. აი მაშინ კი სრულად აღვიქვამთ ოქტომბრის მონაპოვარს.

ასეთი ემოციები მოგველის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. იგი განსაკუთრებული დღესასწაულია — რესპუბლიკის მიერ განვლილი დიდი გზის დაჯამებაა.

გამოფენის ეზოში სკულპტურულ ნაგებობათა და პავილიონთა ორიგინალური ფორმები მეოცე საუკუნის — ტექნიკისა და მეცნიერების საუკუნის სულს ეხმიანება და თავიდანვე იპყრობს ადამიანს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ექსპოზიცია პირველი პავილიონით იწყება. აქ ასახულია რესპუბლიკის მიღწევები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, მეცნიერებაში, კულტურაში, ჯანმრთელობის დაცვაში და ა. შ. წარმოდგენილია საქართველოს ქალაქების და სოფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წვლილი ეროვნული სახალხო მეურნეობის წარმატებებში.

მნახველს თვალწინ გადაეშლება განვლილი სახელოვანი გზა — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ლამაზად გაფორმებული სტენდები და ფოტოსურათები „ზამთრის სასახლის აღებისა“ თუ „ავრორას ზალპის“ ამბავს მოუთხრობს. აქვეა წარმოდგენილი ქართველ რევოლუციონერთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდები, ლეგენდარული XI არმიის შემოსვლა თბილისში, ამასთან დაკავშირებული მიტინგი, დეპეშა — „თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“ (ორჯონიკიძე, 1921 წელი) და სხვა დოკუმენტები, რომლებიც რევოლუციური საქართველოს ექსპოზიციას ამშვენებს.

საქართველოს კომპარტიამ გეზი აიღო მოწინავე ინდუსტრიული და განვითარებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკის შექმნისაკენ, დიაგრამები გვამცნობს, თუ რა თანდათანობით იზრდებოდა პირველივე ხუთწლედის წლებში საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა. რესპუბლიკის წარმატებები დაფუძნებულია მის ელექტროფიცირებაზე. კინოკადრები გვიჩვენებს „ზაჰესის“ მშენებლობას.

საქართველოში ომამდე 800-ზე მეტი სამრეწველო საწარმო აშენდა, ესენია: ნავთობგადამმუშავებელი, ფეროშენადნობთა, ქიმიური, მანქანათსაშენებელი, ქაღალდისა და ცელულოზის, საფეიქრო თუ სხვა ფაბრიკები და ქარხნები. 1940 წელს მრეწველობის მოცულობამ 27-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

სოფლის მეურნეობის აღმავლობა, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება სოფლების კოლექტივიზაციის მეოხებით განხორციელდა.

1931 წელს საქართველოში 35 კოლექტიური მეურნეობა შეიქმნა. განთავისუფლებული შრომა საოცარ შედეგებს იძლევა. რესპუბლიკაში ვითარდება სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმა — სტახანოვური მოძრაობა.

სურათებიდან შემოგვცქერიან პირველი ქართველი სტახანოველები: ტყიბულის შახტის ბრიგადირი გ. გორგოძე, ჭიათურის საბადოების მუშა ვ. სამხარაძე, ორთქლმავლის მემანქანე ა. წიკლაური, მქსოველი ე. მაზანაშვილი, მესიმინდე ჩ. ქვაჩახია, მეჩაიე თ. ყუფუნია, მეაბრეშუმე ო. აივაზაშვილი, ტრაქტორისტი ე. ნატროშვილი.

ექსპონატები მოგვითხრობენ დიდი სამამულო ომის ამბავს. 1941 წლის 22 ივნისი... სახალხო მეურნეობის მშვიდობიანი განვითარება დროებით შეწყდა. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით განხორციელდა მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა.

საქართველოს მშრომელებმა ქვეყნის დაცვის ფონდში 3.340.239.500 მანეთი შეიტანეს, ხოლო ფრონტზე ქუდზე კაცი გაგზავნეს. გამოფენას ამშვენებს სახელოვან ქართველ მეომართა — გენერალ-პოლკოვნიკის, საბჭოთა კავშირის გმირის კ. ლესელიძის, გენერალ-მაიორების ნ. შიქელაძის და გ. ყურაშვილის, საბჭოთა კავშირის გმირების ა. წურწუმიას, ა. გეგეშიძის, ი. გოგიჩაიშვილისა და სხვათა სურათები. აქვე ვეცნობით კავკასიის დაცვის მონაწილეებს — გვარდიის მაიორს ა. ალნიაშვილს, სერჟანტებს ა. სურგულაძესა და მ. ქირიას, ვათვალიერებთ საბჭოთა კავშირის გმირების ი. კოჟედუბის, ვ. კანკავას და ა. პოკრიშკინის სურათებს.

გავიმარჯვეთ. ქვეყანა ომის მძიმე ჭრილობებს იშუშებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ყველა მისი ადგილობრივი რაზმი მშრომელთა პოლიტიკური აღზრდისათვის. გულმოდგინედ ილვწის. 1940—1975 წლების ზოგადი მაჩვენებლები იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რაოდენ გრანდიოზულ წარმატებებს აღწევს ჩვენი რესპუბლიკა.

აღმავლობის შემდგომი მძლავრი ეტაპი — 1976 წელი... მეათე ხუთწლედის პირველი წელი. სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებისათვის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა საქართველოს რესპუბლიკამ, გაიმარჯვეს მისმა ქალაქებმა, საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, აჭარის ასს რესპუბლიკამ, თბილისმა და ქუთაისმა, აბაშის, გორისა და ზუგდიდის რაიონებმა, მრავალმა საწარმომ და კოლმეურნეობამ.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა ქართველ მეცნიერთა, მშრომელთა, მოსამსახურეთა, მთელი საზოგადოებრიობის დიდი გამარჯვების ეპოპეაა. გამოფენაზე, როგორც სარკეში, ასახულია საქართველოს წარმატებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფენის მოწყობას დიდი მუშაობა უძღოდა წინ. ხელახალი ექსპოზიცია მიზნად ისახავდა სკკპ და საქართველოს კპ XXV ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით გაშლილ მუშაობაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობის ფართო ჩვენებას, ახალი კონსტიტუციით განმტკიცებული სოციალურ-ეკონომიური წარმატებების დემონსტრირებას.

აღდგა მე-3, მე-6 და მე-8 პავილიონები, რომლებიც 1976—77 წლებში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოფენებს ეთმობოდა.

ამ პავილიონების ექსპოზიციაში ასახულია მნიშვნელოვანი მეცნიერულ - ტექნიკური პრობლემები, რომლებსაც აყენებს „1976—1980 წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები“.

„მეცნიერება — სახალხო მეურნეობას.“— ამ დევიზით არის გაფორმებული მესამე პავილიონის ექსპოზიცია. იგი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების წვლილს ეძღვნება.

მეხუთე პავილიონის რეექსპოზიციის დროს ძირითადი ყურადღება დაეთმო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ სოფლის მეურნეობის დონის ამაღლებისა და კვების პროდუქტების გაზრდისათვის რესპუბლიკაში განხორციელებულ ღონისძიებებს.

მეექვსე პავილიონში ასახულია საქართველოს ადგილობრივი, საფეიქრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემათა მიღწევები.

მერვე პავილიონში მოწყობილია „მანქანათმშენებლობისა“ და „ხელსაწყოთმშენებლობის“ ექსპოზიცია. ეს გამოფენა მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს გააცნოს მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის უკანასკნელი მიღწევები. ამდენად, გამოფენას თეორიულ-შემეცნებითი ღირებულება აქვს.

ერთადერთი პავილიონი ხელუხლებელი დარჩა. ეს გახლავთ სათბური, შემინული ჰაეროვანი ნაგებობა, სადაც სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის ცოცხალი ექსპონატებია წარმოდგენილი, ხელოვნურად შექმნილ მიკროკლიმატში კარგად იხარა ჩაის სხვადასხვა ჯიშმა, ლიმონებმა — „ახალ ქართულმა“ და „მეიერმა“, მანდარინებმა — „უნშიუმ“ და „ქართულმა საადრეომ“; ბანანებმა, პალმებმა, დრაცენამ, ბამბუკებმა, ფინიკის პალმებმა, გვიმრებმა და სხვა.

ათვალიერებთ გამოფენას, და ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს მთელ საქართველოში მოგზაურობთ.

ნ. ნუცუბიძე









ეროვნული ბიბლიოთეკა



# თეკლა ბატონიშვილის მჭევრმეტყველება

თეკლა ბაგრატიონი მეფე ერეკლე მეორის უსაყვარლესი შვილი იყო. მამა-შვილს განსაკუთრებული გრძნობით უყვარდათ ერთმანეთი. ერეკლე შვილს ხშირად ეტყოდა ხოლმე: „შვილო თეკლა, რატომ ბიჭად არ დამებადეო–“.

1798 წლის იანვარში, მეფე ერეკლე თელავში გარდაიცვალა, უსაზღვრო იყო ქართველი ერის გლოვა. მეფის სახლობის, მისი შვილებისა და შვილიშვილების სახელზე მრავალი სამძიმრის წერილი მოდიოდა, თეკლა ბაგრატიონსაც მიუღია ერთი ასეთი წერილი პეტერბურგიდან თავისი ახლო მეგობრისაგან. წერილი ჰკუთვნებია ვინმე მაიას, რომელიც, ჩვენი აზრით, ცნობილი ქართველი დრამატურგისა და სახელმწიფო მოღვაწის გიორგი ავალიშვილის და უნდა იყოს. მაია „განათლებული ქალი, იშვიათი გულის პატრონი“ (ი. გრიშაშვილი), მეუღლე გამოჩენილი დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწის გარსევან ჭავჭავაძისა, რომელიც ოჯახით იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვითარცა ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი დესპანი.

გარსევან ჭავჭავაძე და მისი ოჯახობა დიდად დამწუხრებულან საყვარელი მეფის გარდაცვალების გამო. მაია ავალიშვილ-ჭავჭავაძისას სამძიმრის წერილი გამოუგზავნია თეკლა ბაგრატიონისათვის, ხოლო, მაიასათვის, თეკლას, 1798 წლის მაისში, საპასუხო ბარათი გაუგზავნია.

კითხულობთ თეკლა ბაგრატიონის წერილს და გრძნობთ, რა დიდი სულის მღელარებაა ჩაღვრილი მასში. აზრის ნიუანსების სიუხვე ხომ აშკარად ჩანს ამ პატარა ბარათში.

ქართულ სიძველეთა ფონდში ეს წერილი დაცულია, როგორც ქართული მჭევრმეტყველების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილი საუკუნენახევარზე მეტი წლის წინათ დაიწერა, დღემდე მისთვის ჯეროვანი ყურადღება არავის მიუქცევია, ხოლო მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის ხომ ალბათ სრულიად უცნობია.

ქვემოთ მოგვყავს ეს წერილი:

„ბრწყინვალე კნეინავ, დაო და სარწმუნო მეგობარო ჩემო და ხელმწიფეცა ჩემო!

ცვალებან მრავალ საგლოველისა ამის სოფ-

ლისგან, განკვეთა გული საშვებელისა ხელ-ვისაგან, დამაკლო სატრფიალოსა სიცოცხლე-სა, აღავსო საცრემლე თვალთა ჩემთა, დასცვა სიცოცხლე ჩემი პირსა სიკვდილისასა, ვნატრი დამიწებულთა ძმათა და დათა ჩემთა, მაქვს სირცხვილად საიგაო სულის დგმა ჩემი. რომ-ლითა გეკრძალვი რათა ამიერითგან არღა მი-ცოდე ცოცხლად სატრფოვო დაო ჩემო!

წიგნი ბრწყინვალებისა თქვენისა, შესაფერი ყოვლის სოფლისაგან სატკივრად საგლოველისა ამა დღისა, სახელ დიდებულისა ხელმწიფისა და სახსოვარისა მამისაგან გულ დაწყლულე-ბულმან ქალმან, გულად ვიღე რა, მიმეღო ცნო-ბა, განმიახლდა სახმილი. რა ვსთქვა, სიცოცხ-ლე მიღებულმან ზეცას ანგელოზთან, სამწიგ-ნობროდ დიდებულსა მას და ქვეყანასა ზედა კეისართაგან საგლოველად პატივ საცემელსა; ხელმწიფის მამის დატირებას თვით მპყრობელთ ხელმწიფეთ დავანებ; მაიავ! მე შემიბრალე სიკვდილის უმწარესი სიცოცხლისათვის, მე მი-წუხე, მტირალი დავითიანთ სახლის დიდების მამისათვის, ბედნიერობით ტახტზედ ამაღლებუ-ლის ხელმწიფე დედის დაქვრივებისათვის, გულ დაწყლულებულთ მტირალი მისთა შვილთა ობ-ლად დატევებისათვის, მეფის ირაკლის დაც-ლილის სამეფოს ტახტისათვის, იწუხე საქართ-ველოს სახელოვანის ხელმწიფისათვის და სა-ზოგადოს მამისაგან დაობლებისათვის, მრავალ-ჯერ სახელოვნად გამარჯვებულის დროშისათ-ვის. იწუხე დაო! სახელი მემკვიდრისა შენისა, პატივცემულ მშობელთა და სასძლოსა შენისა, რომელშიაც მეფის ირაკლის ბედნიერი ტახტზე ჯდომა იხილვებოდა, და მრავალს საგალობლის საუკუნის მათის მედღესასწაულე მეფის ირაკლის ხმა აღარ ისმის; მე შემიბრალე მეფის ირაკ-ლის სანატრელის სულის ხორცთაგან გაყრის დასწრებისათვის; ხელმწიფის. მამის საკვდავად დაზარალებულის კვნესისაგან გამწარებულის ცეცხლისათვის, ქვეყნის მპყრობელისა და უძ-ლეველის ხელის კაცთა მოყვარეს გულზედ დაკ-რეფისათვის; კეისრისაგან ხელმწიფედ დაგვირ-გვინებულის უმაღლესი თავის მიწად მიღები-სათვის!

ვითარ ყოველთაგან უმეტეს ბედნიერობით აღვსილ ვიყავ; ვითარ ყოველთაგან უმეტეს სი-ხარულით აღვსილის სიცოცხლის მქონებელ ვიყავ და ვითარ უმეტეს ყოველთაგან გაამა-ყებულის გულის მქონებელ ვიყავ; ეგრეთცა უმეტეს ყოველთაგან უბედო ვიქმენ და ყოველ-თაგან უმეტეს მწუხარებით აღვსილის სიცოცხ-ლის მქონებელ ვიქმენ და ყოველთაგან უმეტეს გულ დამდაბლებულ ვიქმენ მოწევნისა მის დღისათვის; მე გტკიოდე, მე გეწყალვოდე, მე მიწუხე, მე შემიბრალე, სიცოცხლე მწარე სიკ-ვდილად მოხალისე: დაო! ჩემთვის იწადე და სთხოვე ღმერთსა, რათა დაუთმენელისა ამის ცეცხლისაგან გამომიხსნას სიკვდილისაგან.

მარადის ცრემლ მომდინარე, მრავლის მწუ-ხარებით გულ სისხლ მჩქეფარე, მეფის ასული თეკლა.

წელთა ჩღუპ მაისის იე. თელავით".

ძნელია პირუთვნელად არ შეაფასო თეკლა ბაგრატიონის ამ წერილის მნიშვნელობა ქართუ-ლი ეპისტოლარული მჭევრმეტყველების ისტო-რიაში.

**ვახტანგ სიდამონიძე**

# კაპიტალისტური სამყარო

## ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების მრეწ-ველობაში ქალების ხელფასი გაცილებით ნაკლებია მამაკაცების ხელფასზე, განსხვა-ვება კი არ მცირდება, პირიქით იზრდება: 1960 წელს ამერიკელი ქალის საშუალო ხელფასი მამაკაცთა ხელფასის 63,9 პრო-ცენტს შეადგენდა. ამ ბოლო წლებში ეს ციფრი 59,4 პროცენტამდე შემცირდა.

ქალები ქვეყნის საერთო მოსახლეობის 51,3 პროცენტს შეადგენენ, მათ ხელისუფ-ლების ფედერალურ და ადგილობრივ ორ-განოებში ადგილების მხოლოდ 5 პროცენ-ტი უკავიათ.

ინჟინერთა შორის ქალები ერთ პროცენ-ტზე ნაკლებია. მსხვილ კორპორაციებში 6.500 დირექტორიდან და მაღალი რანგის ადმინისტრაციული მუშაკიდან მხოლოდ 11 პოსტი უკავიათ ქალებს.

## იაპონია

თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზ-ღაურება დღემდე მიუწვდომელია იაპონე-ლი ქალებისათვის. ისინი მამაკაცთა ხელ-ფასის დაახლოებით 54 პროცენტს იღებენ.

## დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის ათი ათასამდე ახალ-გაზრდა მასწავლებელი ოცნებობს პედა-გოგობაზე. სიძნელეებს უფრო მეტად ქა-ლები აწყდებიან. ქვეყანაში სულ 500 ინ-ჟინერი ქალია. ინგლისისა და უელსის სასა-მართლოების ორი მესამედი დახურულია ადვოკატი ქალებისათვის. ისინი ძირითადად არაკვალიფიციურ ან ნაკლებკვალიფიციურ სამუშაოზე მუშაობენ (დამხმარე მუშები, გამყიდველები, პარიკმახერები).

მომუშავე დედათა მხოლოდ ერთ პრო-ცენტს აქვს საბავშვო ბაღში შვილების მიბარების შესაძლებლობა.

## საფრანგეთი

ფრანგ ქალთა 64,2 პროცენტი სიღარიბის ოფიციალურ დონეზე ნაკლებ ხელფასს იღებს. საფრანგეთში ქალები დაქირავებუ-ლი მუშახელის 39 პროცენტს შეადგენენ და ამავე დროს — უმუშევართა არმიის ნახე-ვარს. ხელისუფლებს არც კი სურთ „სუსტი სქესის" წარმომადგენლებს შეუმსუბუქონ პენსიაში გასვლის ასაკი, რომელიც საფრან-გეთში ქალებისათვის დაწესებულია 65 წლიდან.

## ავსტრია

ავსტრიაში ქალთა საშუალო ხელფასი ერთი მესამედით ნაკლებია მამაკაცთა ხელფასზე. მომუშავე ქალთა 70 პროცენტს სპეციალობა არა აქვს. არაკვალიფიციური შრომით დასაქმებულ ქალიშვილთა რიცხვი ორჯერ მეტია, ვიდრე ჭაბუკებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## შეიძლება თუ არა შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ქალი გახდეს დედა?

შაქრიანი დიაბეტით, განსაკუთრებით კი მძიმე ფორმით დაავადებული ქალი ინსულინით მკურნალობის შემოღებამდე იშვიათად ორსულდებოდა, ხოლო დაორსულების შემთხვევაში მკვეთრად ურთულდებოდა დაავადება. რთულდებოდა თვითონ ორსულობაც.

დღეს სწორად ჩატარებული მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა. შაქრიანი დიაბეტით დაავადება ქალს ხელს არ უშლის განიცადოს ყველაზე დიდი სიხარული — დედობა. მაგრამ, საკითხი ორსულობის შენარჩუნების შესახებ ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს. საქმე ის არის, რომ ზოგიერთ დიაბეტურ გართულებათა დროს (თირკმლოვანი გართულება, რასაც თან სდევს წნევის აწევა, დრო და დრო აზოტის მომატება, ასევე მხედველობის ორგანოების მძიმე ცვლილებები და დიაბეტის ლაბილური მიმდინარეობა) ორსულობა უკუნაჩვენებია.

არ არის სასურველი შაქრიანი დიაბეტით დაავადებულმა ქალმა შეინარჩუნოს ორსულობა, თუ კი მას ქმარიც დიაბეტით ჰყავს ავად, რადგან ასეთ შემთხვევაში ადვილი მოსალოდნელია, რომ მომავალში ბავშვიც დიაბეტით დაავადდეს. დიაბეტით დაავადებულმა ქალმა, რომელსაც დედობა სურს, რჩევა უნდა ჰკითხოს ექიმ-ენდოკრინოლოგს, რადგან ნაყოფისა და ახალშობილის დაღუპვის მიზეზია ორსულობის პერიოდში შაქრის ცვლის დარღვევა, რასაც დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

ექიმის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ქალის მკურნალობისას ორსულობის პერიოდში მიაღწიოს სისხლში შაქრის ცვლის მოწესრიგებას (სისხლში შაქრის დონე არ უნდა აღემატებოდეს 120 მგ პროცენტს, ჰაგედორნის მეთოდით, შარდში კი იგი სულ არ უნდა იყოს), გარდა ამისა, მშობიარობისათვის ამორჩეული უნდა იქნეს შესაფერისი დრო და მეთოდი — ეს უკვე მეან-გინეკოლოგის საქმეა.

კიდევ უკეთესია, თუ შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ქალი დაორსულებამდე საფუძვლიანად იქნება გამოკვლეული, ამისათვის უმჯობესია საავადმყოფოში დაწოლა. ორსულობის სხვადასხვა პერიოდში შაქრიანი დიაბეტის მიმდინარეობა იცვლება, აქედან გამომდინარე, იცვლება ინსულინისადმი მოთხოვნილებაც. ამიტომ ორსულმა აუცილებელია უფრო ხშირად შეამოწმოს შაქრის დონე სისხლში და იყოს ექიმის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. სწორად შედგენილი ფიზიოლოგიური დიეტა, რომელიც ითვალისწინებს ადვილად შემწოვ ნახშირწყლების შეზღუდვას, ინსულინით მკურნალობის ჩატარება სასურველ გავლენას ახდენს ორსულობის მიმდინარეობასა და მის შედეგზე. ორსულობის დროს დიაბეტის საწინააღმდეგო აბების მიღება არ შეიძლება. ინსულინით მკურნალობა კი აუცილებელია არა მარტო დედისათვის, არამედ ნაყოფის სწორად განვითარებისთვისაც.

ორსული ქალის მჭიდრო კონტაქტი ექიმ-ენდოკრინოლოგთან, მუდმივი დისპანსერული მეთვალყურეობა, დროდადრო სტაციონარული მკურნალობა უზრუნველყოფს დედის კარგ საერთო მდგომარეობას, ბავშვისათვის კი საფრთხის აცილებას.

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ თითოეულ დედას აღელვებს საკითხი: იქნება თუ არა მისი შვილი ჯანმრთელი, ხომ არ დაავადდება ისიც შაქრიანი დიაბეტით? შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ მშობლის ბავშვებში, ჯანმრთელი მშობლის ბავშვებთან შედარებით, უფრო ხშირად შეიძლება განვითარდეს დიაბეტი, მაგრამ უმეტესად ისინი ჯანმრთელნი არიან. ბავშვის ჯანმრთელობა დამოკიდებულია თვით მშობელზეც. დედამ თავიდანვე უნდა მიაჩვიოს ბავშვი სწორ რეჟიმს, ბავშვმა დიდი რაოდენობით არ უნდა მიიღოს ადვილად შემწოვი ისეთი ნახშირწყლებიანი პროდუქტები, როგორიც არის შაქარი, კანფეტები, საკონდიტრო ნაწარმი, პურის დიდი რაოდენობა და ა. შ. ბავშვისათვის აუცილებელია სპორტული დატვირთვა, და, რაც მთავარია, სხეულის ნორმალური წონის შენარჩუნება.

არ უნდა დაუშვან საერთოდ, და მით უმეტეს, ასეთი ბავშვის მცირედი გასუქებაც კი.

დოცენტი
**ივზირა ანდღულაძე,**
ორდინატორი **ირინე ხან.**

## შინაური ქიმწმენდა

მოხდება ხოლმე, ზოგჯერ დაუდევრობით, ზოგჯერ კი შემთხვევით, ტანსაცმელი დაგვილაქავდება. ლაქის გამოყვანა შინაც შეგვიძლია. ამისათვის საჭიროა ხელთ გვქონდეს სკიპიდარი, ნიშადურის სპირტი, ბენზინი, ძმარი, დენატურატი, ლიმონმჟავა და სარეცხის ფხვნილები.

ვიდრე რაიმე ქიმიურ ნივთიერებას გამოვიყენებდეთ, უნდა ვიცოდეთ, რა ქსოვილთან გვაქვს საქმე და როგორია ლაქა.

ქსოვილს სიგრძეზე და განდაგან გამოაძვრეთ ძაფი და ასანთით ცეცხლი ფრთხილად მოუკიდეთ, თუ ძაფი კარგად აბრიალდება, ქსოვილი ბამბის ან სელისა ყოფილა; თუ ოდნავ ბჟუტავს — შალის ან აბრეშუმისა, კაპრონი და ნეილონი კი სულაც არ ინთება, იგი დნება.

ქიმიური ნივთიერების მოქმედება პირველად ქსოვილის პატარა ნაჭერზე უნდა ვცადოთ. თუ ნაჭერი არა გვაქვს, მაშინ უნდა გამოვიყენოთ ნაკერებისა და ქობის შიდა სათადარიგო ადგილები. თავიდანვე ძლიერ ხსნარებს ნუ მიმართავთ. თუ ლაქა არ ამოდის, ამოწმინდეთ ორ-სამჯერ, თან გამორეცხეთ ხოლმე.

ვიდრე ლაქის ამოყვანას შეუდგებოდეთ, გასაწმენდ ნივთს ჯერ მშრალი, მერე კი სველი ჯაგრისით მტვერი მოაშორეთ. ლაქა უკუღმა პირიდან უნდა ამოიყვანოთ. ქსოვილს ქვემოდან საშრობი ქაღალდი ან რამდენიმეფად ქსოვილშემოხვეული თხელი რაიმე ფირფიტა უნდა დაუდოთ. ლაქა უნდა ამოწმინდოთ ბამბის ტამპონით ან რბილი თეთრი ჩვრით, შეიძლება — რბილი ჯაგრისითაც. ტამპონით ჯერ ლაქის გარშემო ადგილი უნდა დაასველოთ, ლაქაზე კი თანდათან გადახვიდეთ. მაშინ ლაქა არ გაიდიდღნება. წმენდა სუსტი ხსნარით უნდა დაიწყოთ, კონცენტრაცია კი თანდათან გაადიდოთ. მარილდამატებული ნიშადურის სპირტი სხვადასხვაგვარი, მათ შორის, გაურკვეველი წარმოშობის ლაქის ამოყვანის საუკეთესო საშუალებაა.

**ტალახის ლაქები** — გაჭუჭყიანებული ადგილი სველი ჯაგრისით გაწმინდეთ. როცა ქსოვილი გაშრება, დაასველეთ თბილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპნიანი წყლით. თუ ლაქა მაინც არ გამოდის, ქსოვილი ჩაუშვით ძლიერ ძმრიან ხსნარში. გახსოვდეთ: ნეილონის ქსოვილზე ძმრის გამოყენება არ შეიძლება. თუ გაჭუჭყიანებული ნივთის გარეცხვა არ შეიძლება, ლაქა უნდა ამოიყვანოთ 10-12 პროცენტიანი წყალბადის ზეჟანგით, ოღონდ წინდაწინ ქსოვილის პატარა ნაჭერზე უნდა გამოსცადოთ მისი მოქმედება, საწვიმარზე („პლაშჩზე") ლაქა ამოჰყავთ ძმრიან წყალში დასველებული ბამბის ტამპონით (0,5 ლიტრ წყალზე 3 სუფრის კოვზი ძმარი).

ცხიმის ლაქები — ცხიმის ახალ ლაქას დააყარეთ მარილი და წაუსვით პურის ნაჭერი, ან საშრობი ქაღალდი. ეს ოპერაცია რამდენჯერმე გაიმეორეთ, ვიდრე ლაქა არ გაქრება. დაძველებულ ლაქას უნდა წაუსვათ ბენზინში გახსნილი თეთრი საპონი (1 წილი საპონი, 10 წილი ბენზინი) და ერთი საათის შემდეგ ჩამორეცხოთ მაგნეზიისა და ბენზინის ნარევით. ეს ნარევი დაადეთ გაჭუჭყიანებულ ადგილს, დაელოდეთ, ვიდრე გაშრებოდეს და შემდეგ გაწმინდეთ ჯაგრისით. ახალი ლაქები აბრეშუმისა და შალის ქსოვილზე მაშინვე ამოვა თუ უმალ ზედ ტალკს დააყრით. ქსოვილს ქვემოდან დაუფინეთ საშრობი ქაღალდი და 12 საათს გააჩერეთ. შემდეგ ტალკი ჩამოფერთხეთ და იმ ადგილას, სადაც ლაქა იყო, საშრობი ქაღალდი დაადეთ, შემდეგ ზედ თბილი უთო გაუსვით. ხავერდზე ცხიმის ლაქა ამოჰყავთ თბილი ფუნთუშის გულით. ნაქსოვზე ცხიმის ლაქა ამოჰყავთ თბილ წყალში გახსნილი სარეცხის ფხვნილით. დალაქავებულ ადგილას წაუსვამენ ფხვნილიან ხსნარს და 20 წუთს გააჩერებენ, შემდეგ კი თბილი წყლით ამორეცხავენ. კვალი რომ არ დარჩეს, ქვემოდან ამოუდეთ რამდენიმე ფენად მოკეცილი პირსახოცი, იგი ხსნარის ნარჩენს შეიწოვს.

ზეთის საღებავის ლაქა. — ერთმანეთში აურიეთ სპირტი, ბენზინი და სკიპიდარი (თანაბარი პროპორციით). ეს ნაზავი წაუსვით ლაქას და დატოვეთ 20 წუთი. როცა საღებავი შერბილდება, ჩამოფხიკეთ დანის ბლაგვი პირით. ლაქის ნარჩენი ჩამორეცხეთ ცხელი წყლით. ზეთის საღებავის ახალი ლაქა სცილდება ნავთში დასველებული ბამბის ტამპონით. ნარჩენი ჭუჭყიანი ადგილი კი იწმინდება ნიშადურის სპირტით. ზეთის საღებავის ძველი ლაქა შორდება სკიპიდრით. როცა ლაქა დარბილდება, უნდა ჩამოირეცხოს საჭმლის სოდის მაგარი ხსნარით, ბოლოს კი გულდასმით გაივლოს თბილ წყალში.

ოფლის ლაქები — ოფლის ლაქები გაქრება ძმრიანი წყლით (ერთი სუფრის კოვზი ძმარი ერთ ჭიქა წყალზე). ფერად ქსოვილზე ოფლის ახალი ლაქა სუფრის მარილის ხსნარით ამოვა. (ერთი სუფრის კოვზი მარილი ჭიქა წყალზე). ოფლის ლაქა შალის ქსოვილზე ამოჰყავთ დენატურატისა და წყლის ნარევით (ნახევარი წყალი, ნახევარი დენატურატი). ბოლოს ჩამოირეცხება ცივი წყლით, ღია ფერის აბრეშუმზე ოფლის ლაქა ამოჰყავთ ბენზინით ან აცეტონით.

ჟანგის ლაქა — თეთრ ქსოვილზე ჟანგის ლაქა ამოჰყავთ ორპროცენტიანი მარილმჟავით. დასვრილ ქსოვილს უშვებენ მჟავაში და მანამ გააჩერებენ, სანამ ლაქები არ გაქრება, შემდეგ ქსოვილს კარგად გაავლებენ ნიშადურიან წყალში (1 ლიტრზე 3 სუფრის კოვზი ნიშადურის სპირტი). ფერადი ქსოვილიდან ლაქას აშორებენ გლიცერინით და კბილის ფხვნილით (ტოლი ნაწილები). ამ ნაზავს ლაქას შეაზელენ და ერთი დღე-ღამის განმავლობაში დატოვებენ. შემდეგ ამორეცხავენ და წყალს კარგად გაავლებენ.

მელნის ლაქა — მელნის ახალი ლაქა უცბათ ამოვა, თუ მაშინვე მარილს დააყრით და ზედ ლიმონის წვენს დაასხამთ. ამის შემდეგ წყლით კარგად უნდა ამოირეცხოს. თეთრ ქსოვილზე ლაქას უნდა დააყაროთ ბორაკი და დაასხათ წყალბადის ზეჟანგი. შემდეგ კი უნდა გაირეცხოს. ბამბის, სელისა და აბრეშუმის ქსოვილიდან მელნის ახალი ლაქა შეიძლება ამოვიყვანოთ სპირტით, ძმრის ესენციით (ერთი წილი ესენცია, ორი წილი წყალი), ან დენატურატისა და ძმრის ესენციის ნაზავით (თანაბარი რაოდენობით), მელნით დასვრილი ადგილი რამდენჯერმე ჩავდოთ ცხელ ძმარში, ვიდრე მელანი მთლად არ გაიხსნება, შემდეგ ეს ადგილი ცხელი წყლით გამოვრეცხოთ და გავავლოთ. ფერად ქსოვილზე მელნის ძველ ლაქაზე ჯერ სპირტისა და სკიპიდრის ნარევს უსვამენ, ხოლო როცა ლაქა დასველდება და გაიხსნება, კარგად გარეცხავენ და გაავლებენ.

# ახალი ბინის დიასახლისი

ჩვენში დღეს ქალების დიდი უმრავლესობა თანამედროვე, კეთილმოწყობილი ბინების დიასახლისია, რომელსაც იგი დიდი მონდომებითა და სიყვარულით აწყობს დაალამაზებს. ჯერ კიდევ ბინის მიღებამდე იწყება სამზადისი — ძველი ავეჯის ახლით შეცვლა, შესაფერისი ფარდებისა და სხვა საოჯახო ნივთების შეძენა... თითოეულს სურს თავისი ბინა თანამედროვე ინტერიერის საუკეთესო ნიმუშად აქციოს, რომ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ სიამოვნებით დაბრუნდეს ლამაზად მორთულ, მყუდრო ბინაში. მაგრამ ბინის სიმყუდროვე მარტო ახალი ავეჯითა და ლამაზი ნივთებით არ შეიქმნება. იგი ბევრად არის დამოკიდებული დიასახლისის გარეგნულ იერზეც. ოჯახურ გარემოში მოფუსფუსე, მოხდენილად ჩაცმული დიასახლისი სასიამოვნო გუნება-განწყობილებას უქმნის როგორც გარშემო მყოფ ახლობელ ადამიანებს, ისე სტუმრად მოსულ მეგობარ-ნათესავებს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ დიდ აღმზრდელობითს გავლენაზე, რომელსაც უფროსები თავიანთი პირადი მაგალითით ბავშვებზე ახდენენ.

საშინაო კაბა, რომელსაც შინ მისვლისთანავე ვიცვამთ, თითქოს მთელი დღის ჯაფასა და საქმიანი დღის დაძაბულობას გვხსნის. უმალვე ვგრძნობთ თავისუფლებასა და სიმსუბუქეს და სიმშვიდის განწყობილება გვეუფლება. ამიტომ არის რომ კაბა-ხალათი თავისი მოხერხებულობითა და პრაქტიკულობით, დღეს საშინაო ტანსაცმლის ყველაზე გავრცელებული სახეა, ყველაზე გავრცელებული, მაგრამ არა ერთადერთი.

მოდა საშინაო ტანსაცმელზე ისეთსავე გავლენას ახდენს, როგორც სხვა ტანსაცმელზე. თანამედროვე ყოფის ახალმა პირობებმა, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მექანიზაციამ იგი უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადა. საშინაო ტანსაცმელი დღის სხვადასხვა დროს სხვადასხვა შეიძლება იყოს. დილით — ეს დილის ხალათი და პიჟამოა, დალაგებისას — სამუშაო კაბა—ხალათი, სამზარეულოში — ლამაზი, მოხერხებული წინსაფარი, დასვენების დროს — მოხერხებული კაბა, კაბა-ხალათი, სხვადასხვა სიგრძის ქვედა ბოლო, და შარვალი შესაფერი ბლუზით ან ჟილეტით, ბანაობისას კი, — გრძელი აბანოს ხალათი, მაგრამ ვისაც მოუცლელობის ან სხვა მიზეზის გამო საშუალება არ აქვს საშინაო ტანსაცმლის ასე შესარჩევად, მას შეუძლია ეს საკითხი უფრო მარტივად გადაწყვიტოს: ორ აუცილებელ კაბა-ხალათთან ერთად იქონიოს ყველა ძირითადი საოჯახო საქმიანობისათვის შესაფერისი წინსაფარი და ამით გაანაირფეროს თავისი საშინაო ტანსაცმელი, მაგალითად: დალაგებისა და სარეცხისათვის, სამზარეულოსათვის, სტუმრების მიღებისას მაგიდის გასაწყობად და სხვა. სასურველია წინსაფარი ფერით შეხამებული იყოს არა მარტო კაბასთან, არამედ ბინის საერთო ინტერიერთანაც კი. დიასახლისს, რომელიც დღის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საოჯახო საქმიანობის შესრულებისას არ ივიწყებს თავის გარეგნულ იერს, მას არც მოულოდნელი სტუმრობა აყენებს უხერხულ მდგომარეობაში, რაც გაცილებით მეტის მთქმელია, მასზე, ვიდრე საზეიმოდ ჩაცმული ყველაზე ლამაზი მოდური კაბა.

ლ. ხვედელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოკეანის ნობათი

მაღაზიის დახლებზე ხშირად არის სკუმბრია, სტავრიდა და სხვა ოკეანისეული თევზი.

ძველთაგანვე ცნობილია, რომ თევზი ხორცზე ნაკლებ მარგებელი როდია, ხოლო ჰიგიენურად უკეთესიც არის. ადამიანის ორგანიზმი ხორცს ხუთ საათში ითვისებს, თევზს კი — ორსაათნახევარში.

განსაკუთრებით სასარგებლოა ოკეანისეული თევზეულის ცხიმები. თევზი მდიდარია ადამიანისათვის აუცილებელი მიკროელემენტებით: კალიუმით, ფოსფორით, მაგნიუმით.

დღეს ჭაშნიკად გთავაზობთ სკუმბრიის კვების თვისებებს და მისი დამზადების ორ რეცეპტს.



## სკუმბრია

ოდითგან ეს თევზი კულინარებში დიდი პატივით სარგებლობდა. ძველი კართაგენელები მისგან გემრიელ კერძებს ამზადებდნენ. სკუმბრიის არაჩვეულებრივ გემოს ხშირად აღნიშნავდნენ ამერიკელი მწერალი ე. ჰემინგუეი და ნორვეგიელი მოგზაური ტ. ჰეიერდალი.

სკუმბრიის ხორცი, მსუქანი და ნაზია; მას პატარა ძვლები აქვს, შეიცავს 28 პროცენტამდე ცილებს, 16 პროცენტზე მეტ ცხიმებს, მინერალურ ნივთიერებებს.

200 გრამი სკუმბრიის ხორცი იოდის იმ რაოდენობას შეიცავს, რაც ადამიანის ორგანიზმისათვის ერთი დღე-ღამის განმავლობაშია საჭირო.

სკუმბრია სასარგებლოც არის და გემრიელიც. კარგად დამზადებული სკუმბრია — ჭეშმარიტად დელიკატესური საუზმე მრავალფეროვანს გახდის ყველა ოჯახის სუფრას, იგი დაამშვენებს საზეიმო სუფრასაც.

## რამდენიმე რჩევა დიასახლისებს

თევზის გემო გაუმჯობესდება, თუ შეწვამდე 15-20 წუთით ადრე ლიმონის წვენს ან სუფრის ძმარს დავასხურებთ.

თევზს მარილი მომზადების უკანასკნელ წუთებში მოაყარეთ.

გაყინული თევზის გალღობა ჰაერზე სჯობს, შეიძლება მარილიან წყალშიც გავალღოთ (ერთი სუფრის კოვზი მარილი ერთ ლიტრ წყალზე).

მოხარშვისას თევზი ჩაუშვით ადუღებულ წყალში.

ხარშვისას თევზის ნაჭრები ფორმას არ დაკარგავს, თუ თითოეულ ნაჭრის კანს 2-3 ადგილზე გარდიგარდმოდ ოდნავ დასერავთ.

ოკეანისეული თევზი განსაკუთრებით გემრიელი გამოვა, თუ მას კიტრის მწნილის წვენში მოხარშავთ. თევზის ბულიონს თუ ოდნავ შეაზავებთ, მიიღებთ მაწიერ პირველ თავ კერძს, „რასოლნიკს“, „ბორშჩსა“ და „უხას“.

## სკუმბრია არაყანში

3-4 ულუფისათვის: 1 კგ თევზი, 4 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, 4 ცალი კარტოფილი, 0,5 ჩაის ჭიქა ზეთი და 1,5 ჭიქა არაყანი.

გასუფთავებული სკუმბრია დავჭრათ ულუფებად, მოვაყაროთ მარილი, კარგად ამოვავლოთ ფქვილში და შევწვათ. კარტოფილი მოვხარშოთ და დავჭრათ. ტაფაზე დავასხათ ზეთი, შიგ ჩავაწყოთ შემწვარი თევზისა და მოხარშული კარტოფილის ნაჭრები, შემდეგ დავასხათ არაყანი, შევდგათ გაზქურაში და 10 წუთის განმავლობაში ვბრაწოთ.

კერძს მოვაყაროთ მწვანილი.

## სკუმბრიას ფილე ყველით

3-4 ულუფისათვის: 1 კგ. თევზი, 3 სუფრის კოვზი მზა მდოგვი, 150 გრ ყველი, 4 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, ნახევარი ჭიქა ზეთი, მარილი — გემოვნებით.

ფილეს ერთ ნაჭერს წავუსვათ მდოგვი, მეორეზე დავდოთ ყველის ნაჭერი, ორივე ნაჭერი შევაერთოთ, ფქვილში ამოვავლოთ და ორივე მხარეს შევაწითლოთ. მზა ფილე დავჭრათ და კარტოფილის პიურეთი ან ბოსტნეულის სალათით მივიტანოთ სუფრაზე.

გიორგი ჯოხარიძე,
წნორის კაფე-სახაიეს მზარეული, კომუნისტური შრომის დამკვრელი.
თენგიზ კახელიშვილი

გარეკანის პირველ გვ. — რუსუდან შუბლაძე, გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. ფურცხვანიძის სლაიდი. გარეკანის მეოთხე გვერდზე — ორჯონიკიძის რაიონის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ციცინათელა“. ს. კილაძის ფოტო.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი. ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)
ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 10/XI-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XII-77 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3
ტირაჟი 123 000; შეკვ. 3335 უე00867 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამასწინათ თბილისში სტუმრად იმყოფებოდნენ სიერა-ლიონეს მოღვაწე ქალები: მაბინტი კორომა — სახალხო კონგრესის პარტიის ქალთა ორგანიზაციის პრეზიდენტი, სიერა ლიონეს ვიცე პრეზიდენტის მეუღლე, პოსუ ნჯაი — ქალთა ორგანიზაციის აღმასკომის წევრი, როზალინ კოული — ქალთა ორგანიზაციის მდივანი

ფოტო ვ. ბენბიურის



ИНДЕКС 76178